საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. | №145 (3186) | ხუთშაბათი, 3 ივნისი, 1999 წელი. | ფასი შეთანხმებით.

ინტეგრაცია

ედუარდ შევარდნაძე: „საქართველოს ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ“

ევროკავშირის საბჭოს ოფიციალური ცნობით, 1 ივნისს ევროკავშირის საბჭომ და ევროკომისიამ ევროპის გაერთიანებების სახელით დაასრულეს საქართველოსა და ევროპის გაერთიანებებს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი პროცედურები.

შეთანხმება, მისი მე-100 მუხლის შესაბამისად, ძალაში შევა ამა წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის შეფასებით, „ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება დიდ სარგებელს მოუტანს ჩვენს ქვეყანას. ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ“.

ხელშეკრულების ძალაში შესვლასთან დაკავშირებული ოფიციალური ცერემონიალი გაიმართება 22 ივნისს ლუქსემბურგში. მასში მონაწილეობას მიიღებენ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა პრეზიდენტები.

პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

ალექსანდრე პუშკინი — 200

ჩვენი პუშკინი...

საქართველო წელს მსოფლიოსთან ერთად აღნიშნავს ალექსანდრე პუშკინის დაბადების საიუბილეო თარიღს, კაცობრიობისათვის იმ მეტად მნიშვნელოვან დღეს, როდესაც ღმერთმა მშვენიერების, სიყვარულისა და რაინდობის დესპანად მოუვლინა მსოფლიოს ეს საოცრება.

ყველა ადამიანი, ყველა ერი, ყველა დრო თავისი თვალით ხედავს პუშკინს და თავისი ყურით აღიქვამს. პუშკინი იმდენია, რამდენი თვალიც კითხულობს მის სასწაულებრივ სიტყვას, მაგრამ, ამავე დროს, პუშკინი ერთადერთია და განუმეორებელი, ადამიანის სულის უფაქიზეს მოძრაობათა მცნობი, მისი ქომაგი, ტკივილთა დამაყუჩებელი და სიხარულის გამზიარებელი.

პუშკინს აქვს საოცარი თვისება, არა მარტო გითხრას, არამედ თავად გათქმევინოს და ფიქრად განგაწყოს. ამიტომ გგონია, რომ ის, რასთანაც პუშკინმა შენდამეუმჩნევლად მიგიყვანა, მხოლოდ შენია, შენი აღმოჩენილია და სხვა არავისი, ამიტომაა, რომ პუშკინი ქართველისთვის ქართველია, ინგლისელისთვის – ინგლისელი, ყაზახისთვის – ყაზახი.

სხვათაშორის, როდესაც XIX საუკუნეში თბილისში დაიდგა პუშკინის ერთ-ერთი პირველი ბიუსტი, როდესაც თბილისში დაიბეჭდა მისი ლექსის ერთ-ერთი პირველი თარგმანი, ეს მოხდა არა იმიტომ, რომ მაშინ საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო, არამედ იმიტომ, რომ პუშკინსა და საქართველოს ერთმანეთთან თავისი, განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ და აქვთ. ყოველივე ეს აისახა არა მარტო პუშკინის ნაწერებში, არამედ ქართველთა ცნობიერებაშიც, რომელთაც პუშკინი უყვართ არა მხოლოდ მისი შემოქმედების, არამედ მისი რაინდული ცხოვრების გამოც, იმ მამაკაცური ნაბიჯის გამოც, რომელსაც შეეწირა იგი.

დღეს, როდესაც მსოფლიო ლამის წალეკოს ძალადობამ და სიძულვილმა, როდესაც პიროვნული თუ ეროვნული ღირსება ყოველ ნაბიჯზე ითელება და მივიწყებულია, ალექსანდრე პუშკინმა დაგვიტოვა გაუხუნარი და მისაბაძი მაგალითი იმისა, როგორ უნდა დაიცვა შეურაცხყოფილი და დაჩაგრული, როგორ უნდა გადაეფარო ქალისა და საკუთარ ღირსებას, როგორ უნდა ჩახედო სიკვდილს თვალებში და აჯობო სიკვდილს.

ეს ყველას არ ძალუძს, ისევე, როგორც ყველას არ ძალუძს იმ საოცარი სიტყვის შექმნა, რასაც პუშკინის სიტყვა ჰქვია, სიტყვა, რომელიც ცხოვრებისა და მშვენიერების ერთნაირი აღქმით ავსებს ადამიანებსა და ერებს, სიტყვა, რომელიც მოყვასისადმი სიყვარულით გვავსებს, სიტყვა, რომელიც მარტო გვტოვებს საკუთარ თავთან, საკუთარ ფიქრებთან, საკუთარი კითხვების პასუხებთან, იმ საოცარ სამყაროსთან, რომელსაც უდიდესი რუსი მწერლის, უფრო ზუსტად, უდიდესი მსოფლიო შემოქმედის, ალექსანდრე პუშკინის სამყარო ჰქვია და ურომლისოდაც წარმოუდგენელია არა მხოლოდ ყოველი ჩვენგანის, არამედ მსოფლიო კულტურის არსებობაც.

დიდი პოეზია, მართლაც რომ უკვდავია და იგი მუდმივი ხიდია ადამიანთა, ხალხთა და კულტურათა შორის.

სწორედ ამიტომ დღეს პუშკინი ისეა საჭირო, როგორც არასდროს.

სანამ ჩვენ პუშკინთან ვართ, მანამ მსოფლიოს გადაშენება არ უწერია.

ასეთი შემოქმედნი სიმშვიდეს ამკვიდრებენ ჩვენს სულებში.

ასეთი შემოქმედნი ღმერთთან გვაახლოებენ.

სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ცოტანი არიან ისინი.

ედუარდ შევარდნაძე.

რევაზ ამაშუკელი

ხოლო პოეტი იღიმოდა მეფურ ღირსებით

— ო, ცოდვით სავსე,
უგუნური ადამის მოდგმავ,
როდემდე: —
— სხვათა ნიჭის გამო
გშივა და მოთქმა?!

— არ აპატიეს,
არ აცალეს მნათობს მზეობა!
და არ იკადრა,
არ ისურვა მანაც დარჩენა...
დამბაჩით ხელში
წინ დაუდგა ის უზნეობას,
უუმაღლესი სიყვარულის
გადასარჩენად!

... ჩამოთრეული მექალთანე
ზაკვად, შორეთით,
თრთოდა დანტესი, თეთრ მუნდირით,
ქერა კორნეტი,
სად იდგა ბავშვი, მშვენიერი,
ცოლი პოეტის,
რომელსაც ჭვრეტდა პეტერგოფი
ოქროს ლორნეტით...

და ბრიალებდნენ
ბეჭდები და აქსელბანტები...
და მდვრიე ჭორი ქსოვდა ბადეს
მრუდი ფანდებით.
ის კი უბიწო,
იდგა ნაზი და შეუვალი.
ებურა სხივი
გამჭვირვალე, როგორც ვუალი.

ბრწყინავდა იგი
მოწკრიალე ჭაღების სხივზე,
და სალონები
გონჩაროვას უმზერდნენ ისევ!..
იმპერატორი
მას მეორედ სთავაზობს კადრილს
და ნასწრებულებს: —
„მე მოველი აქ თქვენი ხათრით,
შეუდარებელ მურილიოს
მადონას გადრით!“
— და გვირგვინოსანს
კვლავ შემურდა გვირგვინი მხატვრის!

ხოლო პოეტი,
იღიმოდა მეფურ ღირსებით.
მან იუარა
ალლუმები და მეჯლისები.
კარგად იცოდა:
— კოსმიური ედგა უღელი,
ის ღმერთი იყო,
ღმერთი,
და არ კამერ-იუნკერი!

... მაგრამ შრიალით მთარული
შური მშიერი,
ისევ აბობდა მორიელის
მრუშე იერით...
ანონიმური წერილების
უგვანო ქირქილს,
მოახლოებულ ბედისწერას
ხვდებოდა იგი,
გრძნობდა პოეტი
გენიალურ, ზეკარმთ ნიჭით!
(მეუღლის მიმართ
არ ჰქონია მისხალი იჭვი).

პოეტი,
ბავშვი,
თავმოყვარე,
ჩხუბის ამტეხი,
ვერ მოერია სამხრეთულ სისხლს,
მბორგავ ქარტეხილს,
და რადგან იყო
ცოცხალთ შორის უპირატესი,
დასვა წერტილი: —
— „ბარიერთან დადგეს დანტესი!“

... და ის საღამო
გაიცრიცა ნაცრისფერ ცარცით.
ოდეს დაჭრილი
კვლავ აღივსო სიმეუდროვეთი...
— ის კაცი იყო, პირველ რიგში,
ნამდვილი კაცი,
მერე პუშკინი,
მერე ღმერთი,
მერე პოეტი!..

1987 წლის 9 თებერვალი.

კანონმდებლები

ნაბიჯი ნატოში გაწევრიანებისაკენ

– ეს არის განაცხადი იმ ორიენტაციისა, რომელიც საქართველომ აირჩია და ევროპული უსაფრთხოების ახალ არქიტექტურაში თავის ადგილად განსაზღვრა, – ასე შეაფასეს ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს ასოცირებული წევრობის ფაქტი თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ რევაზ ადამიამ და საგარეო ურთიერთობათა საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ კახა ჩიტაიამ.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე რევაზ ადამიამ და კახა ჩიტაიამ ჟურნალისტებს ვარშავაში ნატოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიის შესახებ ესაუბრნენ.

ამ სესიაზე ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ასოცირებული წევრის სტატუსი საქართველოსა და შვეიცარიას მიენიჭათ, ხოლო აზერბაიჯანი და შვეცია ამ ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსით დაფიქსირდნენ.

რევაზ ადამიას შეფასებით, ეს არის საქართველოს ნატოში გაწევრიანებისაკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი და ეს პერსპექტივა საქართველოში უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული დემოკრატიული გარდაქმნების ფონზე გამოიკვეთა.

პარლამენტის პრესსამსახური.

გუშინ

„ძეგლი ავიგე ხელთუქმნელი, უნეტარესი...“

პუშკინის დღესასწაულის მესამე დღე – 2 ივნისი გადატვირთული და ნაყოფიერი იყო. თბილისის წმინდა ალექსანდრე ნეველის რუსულ ეკლესიაში დეკანოზმა მიხეილ დიდენკომ პანაშვიდი გადაუხადა დიდი პოეტის ხსოვნას.

მწერალთა კავშირში გაიმართა მხატვრული სიტყვის ქართველ და რუს ოსტატთა შეხვედრა.

დღის დამაგვირგვინებელი აკორდი გახდა პუშკინის იუბილესადმი მიძღვნილი სრულიად საქართველოს სასკოლო კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია. გამარჯვებულები ხუთი ნომინაციით დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და საქართველოს სხვადასხვა ორგანიზაციათა საჩუქრებით. დასასრულ გაიმართა კონცერტი, რომლის მონაწილენი იყვნენ კონკურსის გამარჯვებულები.

საქინფორმი.

ვიზიტი

ჯეიმს ვულფენსონი თბილისიდან გაემგზავრა

დამთავრდა საქართველოში მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის ჯეიმს ვულფენსონის სამდღიანი ვიზიტი.

2 ივნისს, საღამოს სტუმარი თბილისიდან გაემგზავრა. თბილისის აეროპორტში იგი გააცილეს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ, სახელმწიფო მინისტრმა ვაჟა ლორთქიფანიძემ, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

იხ. მე-2 გვ.

დღის თემა

მომავალ თაობას მშვიდი მსოფლიო რომ დავუტოვოთ

ხსოვნის დღის აღსანიშნავად გამართულ ცერემონიაზე არლინგტონის ეროვნულ სასაფლაოზე გამოსვლის დროს აშშ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა განაცხადა, რომ იუგოსლავიის სტრატეგიული ობიექტების დაბომბვა მიზნად ისახავს, რაღაც უნდა დაუჯდეს, „შეაჩერონ ეთნიკური წმენდა კოსოვოში“. იუგოსლავიის მოელენებს მან შეერთებული შტატების „დიდი შემოწმება“ უწოდა, შემოწმება იმისა, შესძლებს თუ არა მისი ქვეყანა „მომავალ თაობას დაუტოვოს ისეთი მსოფლიო, სადაც ადამიანებს საკუთარი კერიდან არ აპყრიან, მასობრივად არ დახოცავენ მათი რასობრივი, ეთნიკური კუთვნილების, ან რელიგიური მრწამსისა გამო.

იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟივადინ იოვანოვიჩმა თავის გერმანელ კოლეგას იოშკა ფიშერს აცნობა რომ ბელგრადი „ეთანხმება „რვეთა ჯგუფის“ პრინციპებს კოსოვოს კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში“. ეს ინფორმაცია იუგოსლავიის ოფიციალურმა რადიომ გადასცა. იოშკა ფიშერი ასეთი მიმართვის ადრესატი აღმოჩნდა იმიტომ, რომ წლის ამ ნახევარში ევროკავშირს გერმანია თავმჯდომარეობს.

გერმანიაში გაგზავნილ წერილში, როგორც ზოგიერთი დეპეშათა სააგენტო ამტკიცებს, ლაპარაკია იმაზეც, რომ ბელგრადი, უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე, თანახმაა კოსოვოში გაეროს ყოფნაზე. ამის წინაპირობად წამოყენებულია დაბომბვების შეწყვეტა.

მინისტრმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ერთგულებს კოსოვოში ხანგრძლივი პოლიტიკური მოწესრიგების პრინციპს „იუგოსლავიის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემის საფუძველზე“.

მაგრამ საოცარი ის არის, რომ ბონიდან მიღებული ცნობები არ ადასტურებს გერმანიის მიერ „იუგოსლავიის ხელმძღვანელობის გამოგზავნილი წერილის მიღებას“.

(უცხოეთის დეპეშათა სააგენტოების მიხედვით).

გვწერენ

იმედია, თქვენივე სტრიქონებით გააბათილებთ!..

პასუხად ბატონ მურმან ლებანიძეს

ბატონო მურმან,

მიმძიმს თქვენთვის, უფრო სწორად, თქვენი ბოლოდროინდელ „მეგრელი“ ადრესატისადმი მიძღვნილი ერთობ, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარი, პოეტური თვალსაზრისით უმწეო, ხოლო არსით, მაპატიეთ, და უზნეო სტრიქონებისადმი რაიმე პასუხის გაცემა. უფრო იმის გაცნობიერება და გაგება მიჭირს, თუ რამ ჰკლა თქვენში, ერთიანი საქართველოს მეხოტბეში, სიცოცხლის ის ლებანი, რომელსაც ასე ემურებოდა ყველა ქართველი, ხოლო სამეგრელოს ქართველობას რაც შეეხება, თქვენც კარგად იცით და თვითონაც არაერთგზის გიბრძანებიათ ჩემი თანდასწრებით, რომ სწორედ ამ კუთხეში განსაკუთრებული სიმძაფრით აღიქმება თქვენი პიროვნება და შემოქმედება.

ალარ გავაგრძელებ. თქვენვე, მხცოვანმა მგოსანმა, მოიკრიბეთ ძალა და თქვენივე სტრიქონებით გააბათილეთ ის, რამაც, მინდა ლვიჯერო, რომ უნებლიედ, სერიოზული ბზარი გაუჩინა საერთო ქართულ სულსა და ხორცს.

თქვენი უმცროსი მეგობარი, დედაქალაქის პროკურორის პირველი მოადგილე
ვალერი იოსავა.

თემის გაგრძელება იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგების განვითარებისათვის

ევროპის გაერთიანებებთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელმა კონსტანტინე ზალდასტანიშვილმა ბრიუსელიდან საქინფორმს აცნობა, რომ 31 მაისს ევროკომისიამ დაასრულა ევროკავშირის სასურსათო უსაფრთხოების პროგრამით (16 მილიონი ევრო) გათვალისწინებული პირველი ტრანშის (10 მილიონი ევრო) მეორე ნაწილის (4 მილიონი ევრო) საქართველოსათვის გადარიცხვის პროცედურა. აღნიშნული თანხა რამდენიმე დღეში ჩაირიცხება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მითითებულ ანგარიშზე.

აღნიშნული ტრანშის პირველი ნაწილი (6 მილიონი ევრო) საქართველომ მიიღო 1998 წლის დეკემბრის დამლევს.

ევროკავშირის სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ფინანსური დახმარება განსაზღვრულია საქართველოს სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგების განვითარებისათვის.

ციტატა

თამაზ წივწივაძე: „თუ ჩემს ქვეყანას დასჭირდება, ათას ბოდიშს მოვიხდი, მით უმეტეს, ათასი სიყვარული გამომიჩენია სამეგრელოსა და მეგრელი ხალხის მიმართ. მე ყოველ წუთში მზადა ვარ, ეს გავაკეთო და ახსნა-განმარტება, ალბათ, იქნება კიდეც ამ საკითხზე“.

„რეზონანსი“ №147.

დოკუმენტს უდიდესი მნიშვნელობა ექნება

დსთ ქვეყნების მთავრობათა მეთაურების სხდომაზე, რომელიც 4 ივნისს მინსკში გაიმართება, ხელს მოაწერენ საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით მომზადებულ დოკუმენტს „ყალბი სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა ამკრძალავი და აღმკვეთი ღონისძიებების შესახებ შეთანხმებას“, აცნობა პრაიმ-ნიუსს სახელმწიფოთაშორის ეკონომიკურ კომიტეტში საქართველოს სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა აკადემიკოსმა ვალერიან ადეიშვილმა. მისი ინფორმაციით, ეს დოკუმენტი მოიწონა სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა.

მინსკში აფხაზეთში სამშვიდობო ძალების საკითხს განიხილავენ

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნის მიზანშეწონილობას განიხილავენ დსთ წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მორიგ სხდომაზე, რომელიც მინსკში 4 ივნისს გაიმართება, — აცნობა პრაიმ-ნიუსს რუსეთის საგარეო უწყების საგანგებო დავალებათა ელჩმა ლევ მირონოვმა.

დევნილთა უსაფრთხო დაბრუნების უზრუნველსაყოფად ქართული მხარე სამშვიდობო ძალების პასუხისმგებლობის გავრცელებას მოითხოვს გალის მთელ ტერიტორიაზე. სოხუმი მანდატის გაფართოების კატეგორიული წინააღმდეგია, რის გამოც მხარეებმა პოზიციების შეთანხმება ვერ შეძლეს.

ლევან ალექსიძე ოპტიმისტურად არის განწყობილი

ქართულ-აფხაზური მხარეების ნდობის გაზრდის შეხვედრამ სტამბოლში მთლიანობაში შეიძლება დადებითი გავლენა მოახდინოს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესზე, უთხრა პრაიმ-ნიუსს ქართული დელეგაციის წევრმა, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა საერთაშორისო სამართლის საკითხებში ლევან ალექსიძემ.

პრეზიდენტის მრჩეველმა არ გამორიცხა, რომ სტამბოლის შეხვედრაზე შეიძლება მოგვარდეს აფხაზეთში დევნილთა დაბრუნებასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხებიც.

დღეს, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება ალექსანდრე პუშკინის დაბადების 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

გამოძიება

უცილობლად გარკვეულია შეთქმულთა ამ ჯგუფის კავშირი წინა ტერორისტულ აქტებთან

ამბობს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე

— თქვენი აზრით, აქვს რაიმე პოლიტიკური მხარდაჭერა შეთქმულებას?

— პასუხის ნაცვლად მე თვითონ შეგეკითხებით: არის თუ არა პოლიტიკური მხარდაჭერა ის, რაც პარლამენტში თქვა იმ დღეს ზოგიერთმა დეპუტატმა, რაც მთელი ეს პერიოდი ვრცელდებოდა პრესის საშუალებით. ხომ კარგად ჩანდა თანდათან როგორ „შემოპყავდათ“ იგორ გიორგაძე, ყველაფერი გეგმაზომიერად ხორციელდებოდა. ჩვენც ყველაფერი ვიცოდით — სად რა ინტერვიუ, რა ინფორმაცია უნდა გამოქვეყნებულიყო. ვიცოდით არა „ტელეფონების მოსმენით“, როგორც ზოგს ჰგონია, არამედ სერიოზული ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებებით. დიახ, საფუძველი მზადდებოდა ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, მიტინგებით, გამოსვლებით. ყალიბდებოდა აზრი, როგორ შეიძლება იგორ გიორგაძე ტერორისტი იყოსო! იგორ გიორგაძის ფიგურას პოლიტიკური მოღვაწეობისთვის ამზადებდნენ. პოლიტიკოსთა გარკვეული წრე ამას ძალზე აშკარად აკეთებდა, გადახედეთ გაზეთებში მათს გამოსვლებს, თუნდაც ბორის კაკუბავას გამოსვლებს, ისინი, ზოგი იქნებ შეუგნებლადაც კი, პოლიტიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფდნენ. ჩვენ მრავლად გვაქვს დოკუმენტები, რომლებსაც ჯერჯერობით არ ვახმაურებთ.

იხ. მე-2 გვ.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში

ღრუბლიანი ამინდი, წვიმა, ზოგან ელჭექი. დასავლეთის ქარი 7-12 მეტრი წამში.
დაბლობში: ღამით +10+15; დღისით +16+21.
მთაში: ღამით +7+12; დღისით +12+17.
მაღალ მთაში: ღამით +3+8; დღისით +8+13.

აღმოსავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, მესაძლებელია სეტყვა. დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში.
ბარში: ღამით +10+15; დღისით +18+23.
მთაში: ღამით +6+11; დღისით +14+19.
მაღალ მთაში: ღამით +2+7; დღისით +7+12.

თბილისში:

ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა ელჭექით.
ღამით +13+15; დღისით +21+23.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ფინანსები

ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2 ივნისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გირვანქა სტერლინგი	1	3.1672	ლარი
გერმანული მარკა	1	1.0562	ლარი
აშშ დოლარი	1	1.9800	ლარი
ფრანგული ფრანკი	1	0.3149	ლარი
ევრო	1	2.0657	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0803	ლარი

უკანასკნელ საათს

გუშინ, ბონში, მარტი ახტისაარის, სტროუბ ტელბოტისა და ვიქტორ ჩერნომირდინის ორდღიანი მოლაპარაკების შემდეგ მიაღწიეს გარკვეულ შედეგს — შეთანხმდნენ იუგოსლავიაში კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების გეგმაზე. გუშინვე ახტისაარი და ჩერნომირდინი ბელგრადში ჩავიდნენ.

გუშინ კატასტროფა განიცადა ავიალაინერმა, რომელშიც 145 მგზავრი იმყოფებოდა. ამერიკის არკანზასის შტატის ქალაქ ლიტლ-როკის აეროპორტში დაშვებისას ლაინერი ასცდა ასაფრენ ზოლს, ორად გაიპო და ცეცხლი გაუჩნდა. 9 კაცი დაიღუპა, 80-ზე მეტი დაშავდა.

გუშინ ტაშკენტში დაიწყო ტერორისტთა ჯგუფის სასამართლო პროცესი. მათ ბრალად ედებათ ბომბების აფეთქება, რამაც 16 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. 15-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან სიკვდილით დასჯა, — ასეთია 22 განსასჯელის პერსპექტივა.

იხ. მე-2 გვ.

ვიზიტი

„ყველაფერმა, რაც აქ არის დაცული, აღმაფრთოვანა“

— განაცხადა მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა ჯეიმს ვულფენსონმა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დათვალიერების შემდეგ. სტუმარი დიდი ინტერესით გაეცნო უძველეს ქართულ ხელნაწერებს და ისტორიულ დოკუმენტებს — საქართველოს სულიერი კულტურის დიდ განძს და ინსტიტუტის ხელმძღვანელობას ყოველგვარი დახმარება აღუთქვა.

ვიზიტის ფარგლებში, 2 ივნისს ჯეიმს ვულფენსონი ეწვია მსოფლიო ბანკის მისიას, გაეცნო ახლადგახსნილი „მიკრო კრედიტ ბანკის“ საქმიანობას. ძველი თბილისის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებისას სტუმარი სინაგოგაში შეხვდა მთავარ რაბინს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ სადილი გაუმართა ჯეიმს ვულფენსონსა და მის მეუღლეს.

* * *

— მსურს მადლობა გადაგიხადოთ იმ თანადგომისა და დახმარებისათვის, რომელსაც მსოფლიო ბანკი იჩენს ჩვენი ქვეყნისადმი, — განაცხადა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ჯეიმს ვულფენსონთან გამართულ შეხვედრაზე.

ქვეყნის წარსულისა და ისტორიის გაუთვითცნობიერებლად შეუძლებელია მისი წინსვლა და აღორძინება, ამიტომაც მსოფლიო ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამის სრულფასოვან განხორციელებას საქართველოში, აქვე მინდა დავძინო, რომ ჩვენ ქართულ ეკლესიას ქვეყნის განვითარების განუყოფელ ნაწილად განვიხილავთ, — განაცხადა მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა. რაც შეეხება უწმინდესისა და უნეტარესის თხოვნას, მსოფლიო ბანკმა განსაკუთრებული დახმარება და თანადგომა აღმოუჩინოს საქართველოს საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის ფართომასშტაბიანი პროგრამების, ასევე სოფლის მეურნეობის სექტორში რესტრუქტურიზაციისა და რეფორმების განხორციელების საქმეში, ჯეიმს ვულფენსონმა დიდ პატივად მიიჩნია ქართული ეკლესიის ამგვარი ძალისხმევა და ყოველგვარი შესაძლო დახმარება აღუთქვა ილია მეორეს.

შეხვედრის დასასრულს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა სტუმარს ქართველი მხატვრის ფერწერული ტილო გადასცა საჩუქრად.

მსოფლიო ბანკი კვლავაც მხარს დაუჭერს საქართველოს

საქართველოში თავისი სამდღიანი ვიზიტის შედეგებს მიუძღვნა პრესკონფერენცია მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა ჯეიმს ვულფენსონმა. იგი 2 ივნისს შეხვდა ჟურნალისტებს მთავრობის კანცელარიის რეზიდენციაში.

როგორც მან თქვა, იგი დარწმუნდა, რომ ქვეყანა ადგას ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებისათვის გამიზნულ სწორ კურსს. დღეს საქართველო ერთი სოციალურ-ეკონომიკური სისტემიდან მეორეზე გადასვლის ეტაპზე იმყოფება, და როგორც ყველა სახელმწიფოში, რომელსაც ამგვარი პერიოდი უდგას, აქაც ბევრი პრობლემაა. მაგრამ, ქვეყნის ხელმძღვანელობამ დასახა სწორი და მისაღწევი მიზნები — აამენოს გახსნილი ტიპის დემოკრატიული სახელმწიფო, რომელსაც ექნება განვითარებული საბაზრო ეკონომიკა და მტკიცე გადაწყვეტილება, მიაღწიოს ამ მიზნებს.

მსოფლიო ბანკი მხარს დაუჭერს საქართველოს ამ ამოცანათა რეალიზაციაში. ივნისის დამლევს მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭოს სხდომაზე განიხილავენ საკითხს საქართველოსათვის 85 მილიონი დოლარის დახმარების გამოყოფის შესახებ. ჯეიმს ვულფენსონს მიაჩნია, რომ მეტად სერიოზულ სიძნელეთა მიუხედავად, საქართველოში ყველა წანამძღვარი არსებობს საიმისოდ, რომ არცთუ შორეულ მომავალში მდგომარეობა არსებითად გამოსწორდეს. შეეხო რა კორუფციას, ჯეიმს ვულფენსონმა, ხაზი გაუსვა, რომ ეს პრობლემა მწვავედ დგას მსოფლიოში. მასთან ბრძოლა იმდენად ძნელია, რომ ზოგჯერ გესმის, — ეს საერთოდ შეუძლებელიაო. არადა, განა შეიძლება სულ რაღაც ორი წლის წინათ წარმოგედგინა, რომ საქართველოში 200 მოსამართლე საჯაროდ ჩააბარებდა საკვალიფიკაციო გამოცდებს?

საქართველოს სახელმწიფო, მთავრობა, პარლამენტი, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის აზრით, ბევრს აკეთებენ კორუფციის აღმოსაფხვრელად. მაგრამ ძალზე საჭიროა, რომ ამ ბრძოლაში მონაწილეობდნენ მოსახლეობის ფართო ფენების წარმომადგენლები.

საქინფორმი.

გვწერენ

ნუ გავაცინებთ მტერს

ქართლ-კახეთად, იმერეთად,
სამეგრელოდ, გურიად
ვისაც ჩვენი გაყოფა
ან გათიშვა სწყურია,
ან ჭკვიანი მტერი არის,
ან უგნური მოყვარე,
ამიტომაც სადაც წავწვდი
ერთიანად მოვთხარე,
მიყვარს — მტკვარი,
მიყვარს — ქსანი.
ტეხური და ენგური!
მიყვარს — „ლილე“
მიყვარს — „ლალე“
მიყვარს „ჩელა“
მეგრული,
მაგრამ ყველას მირჩევნია
ერთ დიდ მუშტად შეკრული,
რა თქმა უნდა, საქართველო,
ვიყოთ მისი ერთგული.

ამ სტრიქონების ავტორმა, დიდმა პოეტმა მურმან ლებანიძემ ახლახან ააფორიაქა „ჩელას“ სამშობლო სტრიქონებით:

„თქვენ დუშმანს სიტყვა
უქციეთ საქმედ,
თქვენ სხვა აღქარით თქვენ
მარტივ გლეხში,
ვაი სირცხვილო,
რუსთველი თარგმნეთ,
მიჯღარკ-მოჯღარკეთ
ქართული ლექსი“.

და „ცეცხლი დაანთო“ სამეგრელოში: ცეცხლი განსაკუთრებით მწველი იმიტომაც აღმოჩნდა, რომ გალექსილი „პასკვილი“ მწერალთა კავშირის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა.

კოლხეთის მუაგულიდან მყისვე ავარდა საპასუხო „ალი“. არც ჩემმა ახალგაზრდა კოლეგებმა დააყოვნეს და ამ „ალს ბენზინი დაასხეს“. ავორდა ემოციების ტალღა, რომლის ფიზიკურ ძალად გადაქცევა, ეტყობა, სურთ ალკვეთილი ტერაქტის ბელადებს, რომელთა დიდი ხნის ნატვრა-მცდელობა მეგრელთა აჯანყება გახლავთ.

დაფიქრდი ჩემო სულმაღალო „რუხის ციხევ“, გაყუჩდი ხმალამოღებულო ნოქალაქევო, ასი ყური გამოიბი ცოტნეს დინჯო ნამიერო, ეს საკენკია, იუდას ხელით დაყრილი საკენკი არაერთხელ ფარამგადატანილი, მაგრამ გაუტეხელი კუთხის „მიწიდან ალსაგველად“, ჩვენი სამშობლოს სიმშვიდის დასარღვევად.

იქნებ, დავფიქრდეთ, რატომ აფეთქდა ჩვენი საყვარელი პოეტი, იქნებ, ჩავწვდეთ მეგობრის მკვახედ ნათქვამ სტრიქონებს, იქნებ, „მოყვარეს პირში უძრახეს“ ნაკარნახევად ჩავთვალოთ ბატონი მურმანის „სილა“, იქნებ, მშობლის დატუქსვად მივიღოთ მხცოვანი შემოქმედის მათრახი?

იქნებ... იქნებ... იქნებ, ჩვენშივე ვეძიოთ აკაკი ელიავას და ლოთი ქობალიას „გმირებად აღიარების“ სათავეები?

კლარა აბრამია,
ჟურნალისტი.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

1999 წლის 1 ივნისი   ქ. თბილისი.

ბ. აბულაძის და ა. ჭანტურიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისა, ნაყოფიერი ჟურნალისტური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის გაზეთ „ზუგდიდის“ რედაქციის კორესპონდენტები, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრები **ბაბო აბულაძე** და **აკაკი ჭანტურია** დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

1999 წლის 1 ივნისი   ქ. თბილისი.

ა. თოფურიძისა და ა. მალიკაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში, მის პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ საქართველოს მხატვართა კავშირის წევრები: **არჩილ თოფურიძე** — მოქანდაკე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, დაღესტნის რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; **ანა მალიკაშვილი** — გრაფიკოსი, საქართველოს სახალხო მხატვარი.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

1999 წლის 1 ივნისი   ქ. თბილისი.

კულტურის სფეროს მუშაკთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

ქართული კულტურის განვითარება-პოპულარიზაციაში, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ კულტურის სფეროს მუშაკები:

ღირსების ორდენით:

როზა არგუტინსკაია — საქართველოს ლადო ასათიანის სახელობის სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკის დირექტორი, საქართველოს საპატიო ბიბლიოთეკარი; **შურმან ბენდელიანი** — ლენტეხის რაიონის სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლ „ლილეს“ ქორეოგრაფი, რესპუბლიკური ოლიმპიადებისა და ფესტივალების მრავალგზის ლაურეატი; **ნელი გობეჯიშვილი** — დედოფლისწყაროს რაიონის კულტურის განყოფილების გამგე; **აკაკი დოკვაძე** — თბილისის მუნიციპალური საწარმო „თბილტრანსის“ კულტურულ სპორტულ კომპლექს „სინათლის“ სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს დამსახურებული არტისტი; **ავთანდილ კენჭაძე** — საზოგადოება „ქუთაისელის“ განმკარგულებელი ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი; **გიორგი (გივი) სერგია** — თბილისის შოთა მილორავას სახელობის საესტრადო და საცირკო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი; **გელა ქოქიაშვილი** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვოკალისტთა რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატი; **გივი ჩახავა** — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი, საქართველოს ახალგაზრდობის პირველი ფესტივალის ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული არტისტი.

ღირსების მედლით:

სერგო ასლანიშვილი — თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი; **კარლო გოგაშვილი** — დედოფლისწყაროს რაიონის კულტურის განყოფილების თანამშრომელი, რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი; **ეთერ გორელაშვილი** — საგარეჯოს რაიონის სოფელ კოჭბაანის კლუბის გამგე; **თენგიზ კობაიძე** — საქართველოს კულტურის სამინისტროს მრჩეველი; **ელისო ფიროსმანაშვილი** — დედოფლისწყაროს ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი; **ანზორ ქევხიშვილი** — თელავის დამოუკიდებელი ქორეოგრაფიული სტუდიის დირექტორი, სახალხო ანსამბლ „თელავის“ სამხატვრო ხელმძღვანელი, საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალების მრავალგზის ლაურეატი; **მაყვალა წიკლაური** — დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის ხალხურ საკრავთა ორკესტრის ხელმძღვანელი, ქვეყნის ხალხური თვითმოქმედების ფესტივალის ლაურეატი; **ალექსანდრე ჯიმშელეიშვილი** — ქუთაისის ხანდაზმულთა ანსამბლ „ბერმუხას“ ლოტბარი, რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატი.

ე. შევარდნაძე.

ორბიტაზე

ევროპის ქვეყნების კონფერენციაზე

მიმდინარე წლის 16-21 მაისს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში გაიმართა ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების XI კონფერენცია. კონფერენციაში ევროპის ყველა ქვეყანა მონაწილეობდა, აზიიდან — უზბეკეთი და კორეა.

ფორუმის ერთ-ერთი საკითხი იყო ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენციის სრულუფლებიან წევრად ზოგიერთი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს მიღება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონფერენციაზე წარმოადგენდნენ სასამართლოს წევრები ოთარ ბენიძე და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი.

— ვარშავაში საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენლები მაღალ დონეზე მიგვიღეს, — თქვა ოთარ ბენიძემ, — დელეგაციები პოლონეთის პრეზიდენტმა ბატონმა კვასნევსკიმ მიიღო. ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენციის ახალ თავმჯდომარედ აირჩიეს ბელგიის საარბიტრაჟო (ე. ი. საკონსტიტუციო) სასამართლოს თავმჯდომარე მიშელ მელხიორი.

საქართველოს კონფერენციის სრულუფლებიან წევრად მიღების თაობაზე გაიმართა კენჭისყრა. სრულუფლებიან წევრად მიღება საბოლოოდ იურიდიულად გაფორმდება 2000 წელს ბრიუსელში.

ჩვენი დელეგაციის სახელით კონფერენციაზე გამოვიდა ბატონი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი. მისი გამოსვლა იყო საქმიანი, დასაბუთებული. ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების თავმჯდომარეები გვილოცავდნენ შესანიშნავ გამოსვლას. უნდა ითქვას, რომ ევროპის წამყვანი ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების წარმომადგენლები დიდ ყურადღებას იჩენდნენ საქართველოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ.

განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ და მადლობა გადავუხადოთ ყურადღებისათვის გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ქალბატონ ლიმბახს, ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ბატონ ადამოვიჩს, იტალიის, ბელგიის, საფრანგეთის, შვეიცარიის, პოლონეთის, თურქეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და სხვა დელეგაციებს. დიდი მხარდაჭერა ვიგრძენით რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თამარ მორშაკოვასაგან.

კონფერენციის ასოცირებული წევრები გახდნენ აზერბაიჯანის, ლატვიისა და უკრაინის სასამართლოები, დამკვირვებლის სტატუსი მიიღო უზბეკეთის სასამართლომ.

საკონსტიტუციო სასამართლოს სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება.

სტამბოლის შეხვედრაზე, შესაძლოა, აფხაზთა საველე მეთაურებიც იყვნენ

ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის ნდობის გაღრმავების მიზნით სტამბოლში 7-9 ივნისს დაგეგმილ შეხვედრაში, შესაძლოა მონაწილეობა აფხაზთა საველე მეთაურებმაც მიიღონ, რომლებიც 1992-1993 წლებში მიმდინარე შეიარაღებულ დაპირისპირებაში მონაწილეობდნენ, — აცნობა პრაიმ-ნიუსს სოხუმის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ.

სოხუმის ხელმძღვანელობის აზრით, სტამბოლის შეხვედრაზე რაიმე კონკრეტულ შეთანხმებას მხარეები ვერ მიაღწევენ, — აღნიშნა შამბამ.

სტამბოლის შეხვედრასთან დაკავშირებით საკუთარ სკეპტიციზმს შამბა იმ გარემოებით ხსნის, რომ ყველა ქართულ-აფხაზურ შეხვედრაზე ერთი და იგივე პრობლემები განიხილება. კერძოდ, დევნილთა უსაფრთხო დაბრუნება და კონფლიქტის ზონაში საბრძოლო მოქმედებების არგანახლება.

პირველად სამხედრო ძალების ისტორიაში

პირველად საქართველოს სამხედრო ძალების ისტორიაში მაღალ თანამდებობაზე დაინიშნა ქალი: თავდაცვის სამინისტროს მთავარი საფინანსო-სახაზინო სამმართველოს უფროსის პოსტზე ლეიტენანტი მაია ჭიაბრიშვილი დაინიშნა მას შემდეგ, რაც თავდაცვის სამინისტროს სამანდატო კომისიამ მისი კანდიდატურა კონკურსში გამარჯვებულად ცნო.

მაია ჭიაბრიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, არის ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. სხვადასხვა დროს უნივერსიტეტში ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას, მუშაობდა „თბილკომბანკში“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ. 1997 წლის 2 ოქტომბრიდან მსახურობდა საქართველოს პრეზიდენტის — სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მთავარი სამხედრო ინსპექციის სამხედრო ინსპექტორად.

ნატომ რამდენიმე სამხედრო სწავლება გააუქმა

ნატოს მიერ იუგოსლავიაში წარმოებული სამხედრო ოპერაციის გამო ალიანსმა გააუქმა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ფარგლებში წლეულს დაგეგმილი ორი სამხედრო სწავლება, რომელშიც ქართველ სამხედროებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა, — აცნობა პრაიმ-ნიუსს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის, პარტნიორობა მშვიდობისთვის პროგრამის შტაბის უფროსმა, მაიორმა ირაკლი ბატკუაშვილმა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა და საქინფორმმა.

გამოძიება

(პირველი გვერდიდან)

— სულ არაფერს გაგვიმხელთ?

— ჯერ ადრეა გამხელა, გამოძიება ახალი დაწყებულია, ერთს კი გეტყვით: ამზადებენ და ამის შესახებ ახლა მიდის მოლაპარაკება პარტნიორების ადვოკატთა შორის, — როგორ უნდა ატეხონ აჟიოტაჟი, პატიმრებს აწამებენ, ბოთლებზე სვამენო და ა. შ. ეს მაშინ, როცა დაკითხვამდე და დაკითხვის შემდეგაც დაკავებულები გავასინჯეთ ექიმებს, დავასწარით პროკურორები და დამცველები, გავაკეთეთ ორჯერ მეტი, ვიდრე კანონი ითვალისწინებს. ადვოკატის პოზიცია გასაგებია, მან ყველა ხერხი უნდა მოიმარჯვოს, თანაც როცა იცის, რომ ამას მაშინვე აიტაცებს ჩვენი პრესა, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ პრესა როდი უბამს მხარს. გამოჩნდნენ პოლიტიკოსები, რომლებსაც თურმე სასაცილოდ არ ჰყოფნით ამ შეთქმულების შესახებ ლაპარაკი, თურმე ეს წინასაარჩევნო ტრიუკია და მეტი არაფერი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: რასაც ვამბობთ, ათჯერ მეტი მასალა, სამხილი გვაქვს.

— ალბათ, გათვალისწინებული იქნება 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტის მონაწილეთა სასამართლო, რომელიც ისე ხმაურიანად წარიმართა.

— პროცესი როდი წარიმართა ხმაურიანად. მაშინ ინფორმაციული ბრძოლა გამოვეცხადა იმ ქვეყანამ, რომელიც ტერორისტულ აქტს ხელმძღვანელობდა და მოახერხა ჩვენი საინფორმაციო საშუალებების თავისი სურვილისამებრ წარმართვა; მოახერხა ინფორმაციული ბლოკადა მოეწყო საქართველოს მიგნითაც კი. ჩვენ არავინ გვისმენდა, არ უნდოდათ მოსმენა. ეს ინფორმაციული ზეწოლა ახალი ტერორისტული აქტისთვის ნიადაგის შესამზადებლად იყო საჭირო. ზოგიერთი გაზეთის მოქმედება პრაქტიკულად სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედება. შეგიძლიათ შემწუნოთ, შეგიძლიათ — არა, თქვენი ნებაა, მაგრამ ეს, რაც გითხარით, ფაქტია. არსად ასეთი რამ არ ხდება. ეს არ არის დემოკრატია!

— დიდი პროტესტი მოჰყვა იმ ვარაუდს, თითქოს ტერორისტები ბათუმში მდებარე რუსეთის სამხედრო ბაზაზე გადიოდნენ წვრთნას.

— ეგ [illegible] არ გამომითქვამს [illegible] რომ ჯერჯერობით [illegible] მტკიცებულება [illegible] ხელთ არ მაქვს. უმტკიცებულებოდ სათქმელიც არაფერია.

— ბატონო კახა, რა შეიცვალა რუსეთში განხორციელებული საკადრო ცვლილებების შედეგად საქართველოსთან მიმართებაში. ამის შესახებ დღეს ბევრი ლაპარაკია.

— რაღაც მართლაც შეიცვალა. ყოველ შემთხვევაში პირველი სასიკეთო ნაბიჯები გადადგმულია. ბატონი სერგეი სტეპაშინი რამდენჯერმე ჩამოვიდა საქართველოში, სამი თვის განმავლობაში — ოთხჯერ! ბოლო სტუმრობისას უკვე ვიცე-პრემიერიც იყო შინაგან საქმეთა მინისტრობის პარალელურად. იგი ყოველთვის და ყველგან აცხადებდა (მათ შორის ტელევიზიით), რომ დაუშვებელია რუსეთი იფარავდეს დამნაშავეებს, ტერორისტებს, მკვლელებს, რომლებიც თავიანთ სამშობლოს ებრძვიან რუსეთის ტერიტორიიდან, ყველაფერს გააკეთებს, ჩემს ყველა საშუალებას გამოვიყენებ ამის აღსაკვეთადო. რუსეთის ასეთი დიდი თანამდებობის პირის მსგავსი საჯარო განცხადება პირველი იყო. ბატონმა სტეპაშინმა შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნისთანავე (იგი ცოტა ხანს იყო მინისტრი) გარკვეული პრობლემები შეუქმნა იმ მტრულ ძალებს. ვერ ვიტყვი, რაღაც გადატრიალება მოახდინათქო, მისი შესაძლებლობებიც უწყებრივად ერთგვარად შეზღუდული იყო, მაგრამ პირველი ნაბიჯები გადადგა. ხოლო, როცა პრემიერ-მინისტრად დაინიშნა, უკვე წითელი ხაზივით გამოჩნდა მისი დამოკიდებულება რუსეთის ტერიტორიაზე მყოფი ამ ძალების მიმართ. ზუსტად იმ პერიოდში, როცა ბატონი სერგეი სტეპაშინი შინაგან საქმეთა მინისტრი გახლდათ, გიორგაძემ დატოვა რუსეთის ტერიტორია. შეიძლება ხანდახან შემოდიოდა კიდეც (ვეცდებით მაქსიმალური ინფორმაცია მოვიპოვოთ როდის, სად იმყოფებოდა), მაგრამ სერიოზული პრობლემები რომ შეექმნა, ფაქტია. სხვათა შორის, რუსეთის ახალნდელი შინაგან საქმეთა მინისტრი რუშაილო აგრძელებს წინამორბედის ხაზს, ისევე როგორც მიჰყვებოდა ამ ხაზს მოადგილეობის დროს. ბატონი რუშაილო დიდი ხანია მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროში, მას საკმაოდ კარგად ვიცნობ. ამდენად დიდი იმედი გვაქვს, რომ გარკვეული ნაბიჯები გადაიდგმება ჩვენს ქვეყნებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის გაჯანსაღებისა და იმ სიტუაციების მოწესრიგებისათვის, რომლებიც ბოლო წლებში ჩამოყალიბდა. ამის იმედები გვაქვს, რადგან ბატონები სტეპაშინი და რუშაილო სხვაგვარად მოაზროვნე ხალხია, ისინი არ არიან „დერჟავნიკები“. თუმცა, ენახოთ როგორ განვითარდება მოვლენები. რუსეთი, მოგეხსენებათ, სპეციფიური ქვეყანაა, ძნელია, ერთმა ან ორმა კაცმა უცებ, ერთი ხელის მოსმით შეცვალოს ყველაფერი. მთავარია, რომ რაღაც ნაბიჯები გადაიდგა.

— რამდენად სერიოზული ხასიათისა იყო ეს შეთქმულება, ვთქვათ, წინა ტერაქტებთან შედარებით. რომ დაწყებულიყო კიდევ, რამდენად სამიში პროცესები შეიძლებოდა მოჰყოლოდა?

უცილობლად გარკვეულია შეთქმულთა ამ ჯგუფის კავშირი წინა ტერორისტულ აქტებთან

— სამივე ტერორისტული აქტის ერთმანეთთან შედარება არ შეიძლება. ისე კი, ეს ბოლო ყველაზე მეტად იყო მომზადებული. საკმაოდ რთული და მძიმე პროცესები განვითარდებოდა. ბევრ მომენტს ითვალისწინებდნენ: პრეზიდენტზე თავდასხმას, სხვა პირებზე თავდასხმასაც. ყველაფერი უნდა გათვლილიყო, ამიტომაც მიმდინარეობდა გეგმის სკრუპულოზური დამუშავება. ჩვენც ფეხდაფეხ მივყვებოდით გარკვეული პერიოდის განმავლობაში. შეგვეძლო ავვანა ადრეც დაგვეწყო, მაგრამ ზუსტად მაშინ დავიწყეთ, როცა საჭიროებამ მოითხოვა. ახლა ზოგიერთი პოლიტიკოსი იმასაც კი ამბობს, ასე ჩქარა რატომ გახსენით, ცოტა გეცადათ, უფრო გამომჟღავნებულიყვნენო. რა, ბოლომდე მიგვეყვანინებინა ჩანაფიქრი? ზოგ პოლიტიკოსს ჰგონია ტვინში აქვს ჩაჭედილი, რომ ყველაფერი იცის. მე რა უნდა გავაკეთო, ჩემზე უკეთ მან როგორ იცის?

— მაინც რა სტადიაში იყო შეთქმულება: საწყისში, შუა პროცესში თუ მზადება უკვე მთავრდებოდა?

— მზადება თითქმის მთავრდებოდა. რატომ ვეცდია კიდევ, როცა უკვე ჩამოვყალიბდით, ყველაფერში გავერკვიეთ, საკმაო მტკიცებულებები დაგვიგროვდა. მხოლოდ რამდენიმე დღით ვიჩქარეთ, რადგან კრიტიკული მომენტი შეიქმნა. გვეცდია, რომ კიდევ ახალი ხალხი ჩაეთრიათ, ვილაცეები გაებრიყვებინათ და გაეუბედურებინათ? სისხლის სამართლის საქმე 22 მაისამდე ერთი თვით ადრე აღეძარით, მაგრამ მუშაობა ჩვენც და უშიშროების სამინისტრომაც გაცილებით ადრე დავიწყეთ, სხვათა შორის, ორივემ ცალ-ცალკე, — დამოუკიდებლად ინფორმაციის მოპოვება იყო, თუ შესაბამისი ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება. ჩვენ რაღაც ეტაპზე „გადავკვეთეთ“ ერთმანეთის გზა. მას შემდეგ მუშაობა ერთობლივად გავაგრძელეთ. შემდეგ აღმოჩნდა, რომ გარკვეული მონაცემები ჰქონდა დაზვერვის დეპარტამენტს და ისიც შემოგვიერთდა. საქმეში ჩაერთო გენერალური პროკურორიც. დიახ, ეს ძალზე სერიოზული შეთქმულება იყო. როგორც გითხარით, ვარაუდობდნენ, ქვეყნის პირველი პირების ლიკვიდაციას, ხელისუფლების შეცვლას.

— აღიარებები უკვე გაქვთ?

— აღიარებებიც გვაქვს, მაგრამ აღიარებები ჩვენთვის არსებითი სულაც არ არის. სულაც არ გვჭირდება აღიარებები, იმდენი მტკიცებულებები გვაქვს.

— დაბოლოს, თქვენ ფიქრობთ, რომ ტერორისტული ციკლი „დამთავრდა“, რომ ეს ბოლო შეთქმულება იყო და მეტი აღარ მოხდება?

— მე არაფერს არ გამოვრიცხავ. ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ. იმიტომ, რომ ის პროცესები არ დამთავრებულა, რაც ჩვენს ქვეყანაშია წამოწყებული. გავერკვეთ, რის გამო ხდება ყოველივე ეს, რატომ უნდათ საქართველოში შეიცვალოს ხელისუფლება, უპირველეს ყოვლისა, პრეზიდენტი? არის ისტორიული მონაკვეთები, როცა სწორედ ესა თუ ის პიროვნება ქმნის ისტორიის ამ მონაკვეთს. საქართველოსთვის და მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის სულერთი სულაც არ არის დღეს ჩვენთან შევარდნაძე იქნება პრეზიდენტი თუ პეტრე ან ივანე! ბრძოლა პრეზიდენტის წინააღმდეგ, საქართველოს წინააღმდეგ არ დამთავრებულა. ამიტომ მოულოდნელი არაფერი არ იქნება.

ამ დღეებში ჩვენი იქაური კოლეგების დახმარებით შევძელით რუსეთის ერთ-ერთი სატელევიზიო არხიდან და მსხვილი გაზეთიდან იგორ გიორგაძესა და პანტელეიმონ გიორგაძეზე საარქივო მასალების ამოღება. შევძელით ის, რომ რუსეთში ამჟამად მუშაობენ ჩვენი საგამოძიებო ჯგუფები მასალების მოსაპოვებლად. ესეც დიდი საქმეა!

ესაუბრა
ალეკო ასლანიშვილი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ №144.

საქართველოს საფოსტო ბანკი
GEORGIAN POST BANK

საქართველოს საფოსტო ბანკი, მისი ფილიალები და განყოფილებები გთავაზობთ:

1. ანგარიშზე გახსნას იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის უფასოდ;
2. სწრაფ ანგარიშსწორებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
3. სწრაფ გადარიცხვებს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში სასურველ ვალუტით;
4. „ამერიკან ექსპრესის“ სამგზავრო და საბანკო ჩეკების რეალიზაციას და განაღდებას;
5. „ვიზა-კარდის“ პლასტიკური ბარათების დამზადებას და განაღდებას;
6. ივლისიდან საბანკო ანგარიშზე ელექტრონული ფოსტით მართვის პროგრამას „ბანკი-კლიენტი“;
7. პროცენტებიანი ანაბრების მიღებას, როგორც ლარებში, ისე აშშ დოლარებში;

მომართეთ საქართველოს საფოსტო ბანკს, მის ფილიალებს და განყოფილებებს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

380054, თბილისი, ვ. წინამძღვრიშვილის ქ. №95
ტელ.: 956720, 940059, 964371
ფაქსი: 94-01-10.

№145. ხუთშაბათი, 3 ივნისი, 1999 წელი.

ალექსანდრე პუშკინი — 200

მშვენიერების, სიყვარულის და რაინდობის დესპანი

200

ცოცხალი სული

პუშკინი იმ რჩეულ პიროვნებათა რიგს ეკუთვნის, რომლებიც თანამდევი სულებივით მოჰყვებიან კაცობრიობას.

მაგრამ პუშკინის გენიას აქვს კიდევ ერთი – უფრო იშვიათი თვისება, რაც მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულთათვისაა დამახასიათებელი: მისი მემკვიდრეობა კი არ ამძიმებს ჩვენს მეხსიერებას, წარსული ეპოქების სიღრმისკენ კი არ გვეზიდება, უკან კი არ გვხევს, პირიქით – თითქოს არსებობის ტვირთს გვიმსუბუქებს, სიმძიმეს გზისას გვიადვილებს, ფრთებს გვასხამს, გვამხნევებს და ახალ სივრცეთა დასაპყრობად მიგვიძღვება.

პუშკინოლოგია (თუ პუშკინიანა) ერთ-ერთი უმდიდრესი დარგია მსოფლიო ლიტერატურისმცოდნეობაში. ნიშანდობლივია, რომ დიდი რუსი პოეტის შემოქმედება მხოლოდ ისტორიულ-მეცნიერული კვლევის საგანს არ წარმოადგენს.

პუშკინი ის პოეტია, რომლის მისამართით ჩვენს დროში სიტყვა „ჩემი“ ყველაზე ხშირად და იოლად იხმარება, რომლის აზრდილთანაც (მაიაკოვსკის მაგალითისამებრ) ყველაზე წრფელად და ფამილარულად მუსაიფობენ, სჯიან, კამათობენ, გულს იოხებენ, „სეირნობენ“ კიდეც...

ყველა მართლმორწმუნე რუს პოეტს, უპირველეს ყოვლისა, პუშკინისთვის ეწადა აღსარების ჩაბარება.

პუშკინი თავისი ხალხის უსაყვარლესი პოეტია. არა მხოლოდ სათაყვანებელი, როგორც გერმანელებისთვის გოეთე, არა მხოლოდ სულთამხილავი, როგორც ინგლისელებისთვის შექსპირი, არა მხოლოდ აღმაფრთოვანებელი, როგორც ფრანგებისთვის ჰიუგო, არამედ საყვარელიც, ამ სიტყვის სრულიად უბრალო, ადამიანური გაგებით, – იმდენად, რომ ამ განსაკუთრებულ სიყვარულს სხვა დიდი პოეტების შურიც კი გამოუწვევია ზოგჯერ.

Тебя ж, как
первую любовь,
России сердце
не забудет.

ეს სიტყვები ტიუტჩევს ეკუთვნის, სწორედ იმ ტიუტჩევს, რომელზეც ანდრეი ბიტოვმა რამდენიმე წლის წინათ საოცარი წერილი გამოაქვეყნა, თითქოს ამ სიტყვების ავტორს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ეს ფარული შური უღრღნიდა სულს, რამაც არა ერთ მის პოეტურ სახეში ჰპოვა ქარაგმული გამოხატულება.

ძალიან ხშირად და ყველაზე საინტერესოდ პუშკინის შესახებ წერენ როგორც თანამედროვეზე, ცოცხალ პოეტზე.

დავა პუშკინის გარშემო გრძელდება. ამ კამათში იკვეთება დღევანდელი პოზიციები, ამ დისკუსიის დროს თავს იჩენს პოეზიის აქტუალური პრობლემები, ისახება ახალი პერსპექტივა, ყალიბდება ესა თუ ის ლიტერატურული პროგრამა, მოწმდება მთელი რიგი კონცეფციების სიცოცხლისუნარიანობა.

უკვე პარადოქსად აღარ ისმის, როდესაც მისდამი მიძღვნილი წერილი დასათაურებულია ამგვარად: „წინ, პუშკინისაკენ“!

პუშკინი შთამომავლობისთვის ძვირფასია არა მხოლოდ თავისი მემკვიდრეობით. ის უცნაურად ახლობელია ჩვენთვის თავისი კერძო ცხოვრებითაც, პიროვნული ხასიათით, ადამიანური ბუნებით.

მისი ცოცხალი სახე დღემდე ინარჩუნებს მომაჯადოებელ იერს და მისი ცხოვრების ამბავიც, ლიცეუმიდან უკანასკნელ დუელამდე ისეთი უშუალო განცდით იკითხება, თითქოს ყველაფერი ჩვენს თვალწინ მეორდებოდეს.

ამ იშვიათი მომხიბვლელობის ერთ-ერთი მიზეზი პუშკინის ხასიათის განსაცვიფრებელი მრავალფეროვნებაა.

მისი მოქმედება თითქმის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოულოდნელია, არაორდინარულია და ამავე დროს უაღრესად ბუნებრივი.

მისი მდგომარეობა გამუდმებით იცვლება: აი, ის მაზურკას ან „ვალს-კაზაკს“ ცეკვავს შეუდარებელი სისხარტით, ბავშვივით იცინის მეგობრის ხუმრობაზე, ზიზღით იცილებს ფარისევლის ქათინაურს, უშიშრად დგება სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლის ბარიერთან (მერამდენედ?!), თავდავიწყებით უხსნის სიყვარულს თავის „ერთადერთ“ კერპს, უტიფრად, უცერემონიოდ სთავაზობს „ერთდროულ დახმარებას“ ავხორც ბანოვანს, სევდამემოწოლილი ბორგავს გადასახლებაში, გატაცებით თამაშობს ქაღალდს (ესკვაირ თომას რეიკსის მოწმობით, მას ეკუთვნის სიტყვები: „მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე არ ვითამაშო“), გათენებამდე ვერ ელევა მეგობრულ სერობას, უმიზნოდ დაეხეტება ნევის სანაპიროზე, მორიგი დუელისთვის, ან მოგზაურობისთვის იჭერს თადარიგს... გამუდმებით წვავს თავის ცხოვრებას და მაინც არ იფერფლება.

ვ. ი. დალი იგონებს, სიკვდილამდე ოთხი წლით ადრე უთქვამს: „აი, ნახავთ, მე ჯერ კიდევ ბევრს გავაკეთებ! მერე რა, რომ ჩემი ამხანაგები ყველანი ერთთავად გაჭაღარავდნენ და გამელოტდნენ, მე კი ეს-ეს არის, რაც დავდინჯდი, თქვენ არ იცით, როგორი ვიყავი ახალგაზრდობაში. მე ისე არ ვცხოვრობდი, როგორც ჯერ არს, უკან რომ მოვიხედავ, ქარიშხლიანი კაბადონი მრჩანს“.

და ეს მაშინ, როცა მის მიერ უკვე გაწეული იყო ტიტანური შრომა, უკვე გასრულებული იყო იმხელა საქმე, რაც პოეტების მთელ წყებას ეყოფოდა.

პუშკინის პოეზიის ცოცხალი სული ის დიდი სათავეა, საიდანაც უამრავი განტოტება მოდის ჩვენამდე.

ყველა ჭეშმარიტ შემოქმედს ჰყავს „Мой Пушкин“, რომელიც სხვას არ ჰყავს. ასევე ყოველი ეპოქა თავისას ეძებს და თავისას იძენს მისგან.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენ დროს, პუშკინის ამაყი, თავისუფლებისმოყვარე, დიდბუნებოვანი, შეურიგებელი, ჰუმანური სული უფრო ხიბლავს, ვიდრე, ვთქვათ, მისი „ოლიმპიური ხასიათი“, „სამყაროს მიუკერძოებელი ჭვრეტა“, „კლასიკური ზომიერება“, ან „გამოვნების სიმკაცრე“ (რასაც ასე ხშირად უსვამდნენ და უსვამენ ხაზს).

ასევე ყველა ერი თავის განსაკუთრებულ საზრდოს პოულობს მსოფლიო პოეზიის ამ ნამდვილი კოლოსის მემკვიდრეობაში, თუმცა სიტყვა „კოლოსი“ ყველაზე ნაკლებ გამოხატავს მისი ბუნების საოცრად ადამიანურ ხასიათს.

თავისი დამოკიდებულება აქვს პუშკინის მიმართ ქართველ ხალხსაც, რომელიც უკვე საუკუნენახევარია, მის ნათელ სახეს ეალერსება, როგორც სილაღისა და შეუპოვრობის მომღერალს.

გურამ ასათიანი.

(იბეჭდება შემოკლებით)

სალონური საღამო

200 წელი, დიახ 200. ბევრია თუ ცოტა, არ ვიცით. მაგრამ „რუსული პოეზიის მზე“ ა. პუშკინი დღესაც რომ უწინდებურად ბრწყინავს, ეს ნათელია, ბრწყინავს და ათბობს მის თაყვანისმცემლებს.

ყოველ ასაკს ჰყავს თავისი პუშკინი. აი, ისინიც, პუშკინის ზღაპრების გმირები, რომლებიც გააცოცხლეს დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა. მას, პ. ჩაიკოვსკისა და ა. ვივალდის მელოდიების თანხლებით, მოჰყვა წელიწადის დრონი. აქ იყო გაზაფხულის სურნელება, მშვენიერი ზაფხული, შემოდგომის ხიბლი და ზამთრის დიდებული პანორამა.

საშუალო და უფროსი ასაკის მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ გვაზიარეს პუშკინის პოეზიას, მის ცხოვრებასა და შემოქმედებას; გადაგვიშალეს პუშკინის ახალგაზრდობის წლები, მისი გატაცების ობიექტები; „მევხვდით“ ნატალია გონჩაროვას, მოვისმინეთ ეპიზოდები როგორც ბედნიერი, ასევე ტრაგიკული წლებიდან.

მოვისმინეთ ლექსები საქართველოზე, საქართველოს ბუნებამ ხომ ჭეშმარიტად მაღალმხატვრული ასახვა ჰპოვა პუშკინის ლირიკის მარგალიტებში: „კავკასია“, „ზვავი“, „საქართველოს მთებზე“ და სხვა.

იყო ლექსი, რომანსები, იყო მეჯლისი, რომელმაც გააცოცხლა პუშკინის ეპოქა.

მოსწავლეები კიდევ ერთხელ ეზიარნენ დიდებული პოეტის პოეზიის მადლს. მათი ჩაცმულობაც კი მეცხრამეტე საუკუნის ყაიდას შეესიტყვებოდა. ეს იყო მუზათა სამყაროში ყოფნის ლამაზი დღესასწაული, რომელიც თბილისის 116-ე საშუალო სკოლამ მიუძღვნა პუშკინს, რამიც დიდი წვლილი მიუძღვის პედაგოგებს ალა ბრაილავსკაიას, როზა გეორქოვასა და ნინო რუსიას, რომლებმაც აგრძნობინეს თავის მოსწავლეებს პუშკინის შემოქმედების ძალა, შეაძლებინეს მათ მისი პოეზიის მთელი სიმდიდრის აღქმა. ეს იყო სალონური საღამო. სანახაობრივად ფრიად საინტერესო და ლამაზი. ინტერიერი კი გაფორმებული იყო XIX საუკუნის სტილში. აქვე იყო წარმოდგენილი სკოლის სხვადასხვა კლასების მიერ იუბილესადმი მიძღვნილი ლიტერატურული ფურცლები.

სტუმრებს შორის იყვნენ მშობლები, სკოლის ყოფილი პედაგოგები და მოსწავლეები, იყვნენ საქართველოს განათლების სამინისტროსა და თბილისის განათლების განყოფილების მუშაკები; ვიყავით ჩვენც, საქართველოს ლადო ასათიანის სახელობის სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკის წარმომადგენლები, რომლებსაც სამ ათეულ წელზე მეტი საქმიანი ურთიერთობა გვაკავშირებს აღნიშნულ სკოლასთან.

ამაღლებული გრძნობით ვტოვებთ დარბაზს.

გაბრწყინებული თვალებით გვაცილებენ დღესასწაულის მესვეურები – მონაწილენი და მათი ორგანიზატორები, თავის საქმეზე შეყვარებული სკოლის დირექტორი, ქალბატონი მედეა ლორთქიფანიძე.

ვემშვიდობებით მათ ერთობლივი საინტერესო შეხვედრების იმედით.

ინგა არლუტინსკაია,
ბიბლიოთეკის დირექტორი.

საიუბილეოდ

1 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „ა.ს. პუშკინი და მისი საერთაშორისო მნიშვნელობა“.

პლენარული სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფესორმა თეიმურაზ ხუროძემ.

მოხსენებებით წარსდგნენ თბილისის უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი იგორ ბოგომოლოვი – „კავკასიის ომი პუშკინის ინტერპრეტაციით“, ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორი კიმურა ტაკასი – „აღმოსავლეთის ხალხთა მხატვრული სახე შემოქმედებაში“, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პუშკინის კომისიის სწავლული მდივანი, პროფესორი სერგეი ფომიჩევი – „პუშკინის ორი კავკასიური ციკლი“, რუსული ლიტერატურის ინსტიტუტის (პუშკინის სახლის) პროფესორი ოლგა მურავიოვა – „პოლიტიკა პოეზიის პრიზმაში“, პერუჯის (იტალია) უნივერსიტეტის პროფესორი ოლგა სიმჩიჩი – „მიხაილ ზოშჩენკოს „ბელკინის მეექვსე მოთხრობა““, პუშკინის სახლის პროფესორი ვადიმ ვაცურო – „პუშკინი, მიცკევიჩი, ბარათაშვილი“, იონსეის (კორეა) უნივერსიტეტის პროფესორი კიმ ჩინ იონი – „პუშკინი და ორიენტალიზმი: „კავკასიის ტყვე“, „მოგზაურობა არზრუმს“.

შემდეგ კონფერენციის მუშაობა სექციებში გაგრძელდა და მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოსა და საზღვარგარეთის ცნობილმა მეცნიერებმა, ლიტერატორებმა, პუშკინის შემოქმედების სპეციალისტებმა.

გივი შეყილაძე.

მუხრან მაჭავარიანი

ჰუშკინი ტფილისში

ჰუშკინი ტფილისის ქუჩებმა გაიტაცეს.
ბაღში ქეიფია.
თავადი თამადობს.
მშვინვარებს ქეიფი აზიურ ყაიდაზე.
— ალექსანდრ ჰუშკინი!
იცნობდეთ, თავადო!

...ჰუშკინს არ უნახავს ამდენი სიცილები,
თუმც ბევრი უმასხრია, — ნახვაზეც უზრუნია,
უკვირს, — რაც უნდა თქვას,
— ღიმილით იცილებენ;
ვერ მიხვდა:
ღიმილი ქართველის რუსულია.

...აქ ქალი ისეთი რონინებს რამდენი,
როგორზეც მან ერთგან დაწერა:
„Я кинжалом хорошо владею,
Я близ Кавказа рождена...“

...დამდგარან ვირები
ქურების დაშვებით.
კიტრებით ხავსენი
ჰყიდიათ გოდრები.
რუსისგან საქულას
მოკვება დარჩება.
ვინ იცის, გადარჩეს საქო გაკოტრებას.

... ჰუშკინმა დანახარჯი
ღიმილით მიუთვალა, — საქომაც გაუღიმა
ჰუშკინს ნაცვლად ხურდის.
— რამ გაგათახსირა, საქო ავლაბრელო!
— რა ჰქონდა ჰუშკინს შენი გასაქურდი!

...თავადმა ცხენიდან
ქალს თვალი მოლანდა.
ჩამოხტა.
ხუს მიაბა ცხენი.
მან კოცნა სწყუროდა
და მანდილოსანმაც
წყალივით მიაწოდა ხელი.

... ჰუშკინი ტფილისის ქუჩებმა გაიტაცეს.
ბაღში ქეიფია.
თავადი თამადობს.
მშვინვარებს ქეიფი აზიურ ყაიდაზე.
— ალექსანდრ ჰუშკინი!
იცნობდეთ, თავადო!

1949.

ეძღვნება პოეტს

დაუნის გვირგვინი ამკობს დიდი პოეტის ალექსანდრე პუშკინის ცნობილ გრაფიკულ ავტოპორტრეტს, რომელიც გამოსახულია ახლახან გამოცემულ მწერალთა კავშირის ორგანოს რუსულენოვან ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ (1-6) გარეკანზე (მთავარი რედაქტორი ზაზა აბზიანიძე). იგი მხატვარ ოლესია თავაძეს დაუღალავს და მიგვანიშნებს რომ, ჟურნალიც ეხმიანება მნიშვნელოვან მოვლენას – პოეტის დაბადების 200 წლისთავს, რომელსაც მსოფლიო პოეტური სამყარო აღნიშნავს.

„საქართველოს მთებზე“ – 1829 წელს დაწერილი პუშკინის ამ ლექსით იხსნება პირველივე გვერდი. შემდეგ ჟურნალი აქვეყნებს გენიალური პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილ წერილებს.

ცნობილი ქართველი მწერალი თამაზ ჭილაძე თავის წერილში „ცეცხლით გამოცდა“ საუბრობს თუ როგორ გაერთიანდა მის წარმოდგენაში პუშკინის პოეტური შემოქმედების მთავარი და მნიშვნელოვანი წახნაგები – სიახლე, უბრალოება და სითამამე, საუბრობს რა ამ თვისებებზე, იგი წერილის დასასრულს ამბობს, რომ საქართველოს განსაცდელის ჟამს პოეტს კიდევ ერთი გამარჯვება ხვდა, – თბილისის ცენტრში მთავარ მოედანზე სამოქალაქო ომის ეპიცენტრში მდგარ პუშკინის ძეგლს ბრმა ტყვიაც კი არ მიჰკარებია. ტყვია ულონო აღმოჩნდა ჩემი ხალხის მაღალი ტრადიციებისა და ადამიანურობის წინაშე.

„სხვადასხვა სარკეში არეკლილი“... ამ სათაურით ჟურნალი აქვეყნებს ლინა ხიხაძის წერილს, მასში ავტორი საუბრობს პუშკინის მოთხრობაზე „გასროლა“, მიმოიხილავს მის გმირებს, კომპოზიციას. ვლადიმერ სარიშვილი პუშკინის სონეტებს მიმოიხილავს, კერძოდ, მის ცნობილ სამ სონეტს „პოეტს“, „სონეტს“ და „მადონას“, რომლებიც 1830 წლით არის დათარიღებული. აანალიზებს ინგლისელი რომანტიკოსის ვორდსვორტის ერთ-ერთი სონეტის პუშკინისეულ თავისუფალ ვერსიას. „გზად არზრუმისაკენ“, ამ წერილში ავტორი იური ხეჩინაშვილი მკითხველებს ესაუბრება რუსი ერის ორი დიდი წარმომადგენლის პუშკინისა და გრიბოედოვის შესახებ. ჟურნალში მკითხველი გაეცნობა, აგრეთვე, ვალერიან კუნიას წერილს „ყომარბაზი იაკობინელი“, რომელშიც განხილულია პუშკინის ნაწარმოები „პიკის ქალი“, ვრცლად საუბრობს მის პერსონაჟებზე. პუშკინისა და პასტერნაკის ფართო და მრავალასპექტიან თემას ეძღვნება მარინა კონდერის წერილი „პუშკინის თემა ვარიაციებით“. იგი მოიცავს, როგორც პასტერნაკის გამონათქვამებს გენიოსი პოეტის შემოქმედებაზე, ასევე ზოგიერთი სახის, იდეისა და სიუჟეტის კავშირზე პასტერნაკისა პუშკინის მოტივებთან, ამასთან, გარკვეული ზომით პუშკინის ესთეტიკისაგან განდგომაზე.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

ფესვები

ვიკვლევდი რა თემას „ა. ს. პუშკინი და საქართველო“, მე არაერთხელ მივუბრუნდი უაღრესად საინტერესო დოკუმენტს, რომელშიც მრავალი საიდუმლო იყო დაფარული. ეს პუშკინის დედის ნადეჟდა პუშკინას (ქალიშვილობაში ჰანიბალის) წერილი გახლდათ თავისი ქალიშვილის, ოლგასადმი (ალექსანდრე პუშკინის და), რომელშიც ნათქვამია: **„დადიანი ჩამოვიდა პეტერბურგში, ახალი გამარჯვება გვაუწყა და შენი ძმის წერილი გამოგზავნა ჩვენთან, ზუევოში (მიხაილოვსკოე) არ შეუხვევია, არადა, მისთვის რა იქნებოდა, რომ შეეხვია. უკან არც თუ ისე მალე გაბრუნდება, ხომ გახსოვს დედამისი, ჩვენი ბიძაშვილი, რომელსაც ძალზე უყვარდი შენ ბავშვობაში, იგი გათხოვდა და საქართველოში გაემგზავრა, მას აქეთ აღარაფერი მოუწერია“...** ეს წერილი მრავალმხრივაა საინტერესო. ჯერ ერთი, ის მეტყველებს იმაზე, რომ პუშკინს ნათესაური კავშირი ჰქონდა დადიანთან. მეორეც – საქართველოში 1829 წელს ჩამოსულ პოეტს აშკარად ჰქონდა ურთიერთობა მასთან. და ბოლოს, ისიც აშკარაა, რომ არ ენდობოდა რა ფოსტას, რომელმაც მისი წერილები „უყურადღებოდ არ დატოვა“ მან საქართველოდან მშობლებისადმი (და არა მარტო მათდამი) მიწერილი წერილები სწორედ ამ თავის ნათესავებს გაატანა, რომელსაც მთელი არსებით ენდობოდა.

ვინ იყო ეს დადიანი, და რა ბედი ეწია დედამისს, პუშკინის დედის ნადეჟდა ოსიპოვნას ბიძაშვილს, რომელიც საქართველოში გაემგზავრა? ეს და სხვა საკითხები ჯერ კიდევ მოითხოვს დაზუსტებას და გარკვევას. ჯერჯერობით კი ცალკეული ცნობების მიხედვით შესაძლებელი გახდა არც თუ მთლიანი და ძალზე ზოგადი ბიოგრაფიის დადგენა პუშკინის ამ ნათესავისა.

თავადი ალექსანდრე ლევანის ძე დადიანი, ანუ დადიანოვი (1801-1865) იყო პაჟთა კორპუსის აღზრდილი, პრეობრაჟენსკის პოლკის შტაბს-კაპიტანი. შემდეგ ის გახლდათ კავკასიის მთავარმართებლის პასკევიჩის ადიუტანტი და ერევნის კარაბინერთა პოლკის უფროსი. მიხეილ ლერმონტოვის ნაცნობი ოფიცრის, მოგვიანებით კი ქართული კულტურის პროგრესული მოღვაწის კ. ხ. მამაცევის (მამაცაშვილის) სიტყვით, **„დადიანი იყო მეგრელი, ბუნებისგან ნაბოძები ჰქონდა საზრიანობა, ჭკუა; ის იყო განათლებული კაცი, მაგრამ ამავე დროს თავისი წარმოშობის გამო, სიამაყე მოსდგამდა და მასზე ჩინით უფროსებთანაც თავაწეული დამოკიდებულება ჰქონდა. ამიტომაც არ უყვარდათ ის“.**

1837 წელს (პუშკინის დაღუპვის წელია) ა. დადიანი იმპერატორ ნიკოლოზ I მსხვერპლი შეიქმნა. იმპერატორმა თბილისში გამართულ აღლუმზე ბრძანა მისთვის ფლიგელ-ადიუტანტის აქსელბანტები აეძროთ. ჯარისკაცად ჩამოქვეითებული, ჩინჩამორთმეული თავადურ და საგვარეულო ღირსებას მოკლებული დადიანი ბობრუისკში გადაასახლეს.

ა. ს. პუშკინს შეეძლო შეხვედროდა ა. ლ. დადიანს და მის მეგობრებს ჯერ კიდევ რუსეთში, 1829 წლამდე. სარწმუნოა და ცნობილია, რომ როლესაც ი. ფ. პასკევიჩმა თავისი ადიუტანტი პეტერბურგში გააგზავნა, რათა იქ სპარსელებზე მოპოვებული გამარჯვება შეეტყობინებინათ (1829 წლის 18-20 ივნისს) პუშკინმა მას (ადიუტანტს) თბილისიდან მშობლებთან წერილი გაატანა.

დადიანი პუშკინის საქართველოში მცხოვრებელი ერთადერთი ნათესავი არ ყოფილა.

ვისაც ყურადღებით წაუკითხავს „მოგზაურობა არზრუმში“, ის იქ აუცილებლად შენიშნავდა პუშკინის სწრაფვას, რაც შეიძლება სწრაფად მოხვედრილიყო დუშეთში.

საქართველოს სამხედრო გზით მგზავრობისას პუშკინი ყველაზე უფრო დუშეთისკენ იჩქაროდა. რა იყო ამის მიზეზი? პოეტის ეს მოუთმენლობა და სიჩქარე ჩემში დიდი ხანია მრავალ კითხვას აღძრავდა, რომელსაც დამატებითი კვლევა-ძიება ესაჭიროება. ამიტომ მხოლოდ ვერსიებს, წინადადებებს და ჰიპოთეზებს გამოვთქვამ.

სამეცნიერო ლიტერატურისთვის ჯერჯერობით უცნობ კითხვებზე პასუხებს რომ ვეძებდი, ბევრ ადამიანს გავესაუბრე. იმ ძაფის წვერი, რომელიც კვანძს გახსნიდა, როგორც ყოველთვის ხდება, მოულოდნელად გამოჩნდა, პროფესორმა – რუსისტმა გ. ი. წიბახაშვილმა მაუწყა, რომ დუშეთის სასაფლაოზე მრავალი წლის წინათ მას ნანახი ჰქონდა საფლავის ფილა წარწერით: „ჰანიბალი“, ძიებას ენერგიულად ჩაუდგა სათავეში საქართველოს პარლამენტის წევრი, დუშეთის მკვიდრი მარინე მოლოდინი. ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ და საზოგადოებამ თქვა თავისი სიტყვა. სასაფლაოზე ამგვარი ფილა არ აღმოჩნდა, მაგრამ დღევანდელი ობსერვატორიის ტერიტორიაზე, სადაც ოდესღაც ეკლესია იდგა, ცოტა განსხვავებული წარწერის მქონე საფლავის ქვას მიაკვლიეს. ქვაზე ეწერა: **„აქ განისვენებს მერვე კლასის ჩინოვნიკის ცოლი ნატალია ანიბალი, გარდაცვლილი წითელი ქარისაგან (შემდეგ რიცხვი არ იკითხება) 1836 წლის დეკემბერი. დაბადებიდან ოცდათორმეტი წლისა“.**

შემდგომმა ძიებამ მიგვიყვანა სანკტ-პეტერბურგელ ცნობილ ჰანიბალმცოდნე ნატალია ტელეტოვასთან. აი, რა მაუწყა მან თავის წერილში: „ჩემი ჰიპოთეზის თანახმად, ანიბალები უნდა იყვნენ აბრამ პეტრეს ძე ჰანიბალის შთამომავლები.

1704 წელს სამი ზანგი ბავშვი ჩამოიყვანეს რუსეთში, ისინი იყიდეს სამხრეთ კამერუნში, მონების ბაზარზე. ეს ბავშვები შემდეგ მოხვდნენ კონსტანტინოპოლში (ისტამბულში). საიდანაც გრაფ რაგუზინსკიმ მოსკოვში ჩამოიყვანა. ერთი მათგანი გარდაიცვალა. დანარჩენი ორი პეტრე I კარზე მოღვაწეობდა. უფროსი ალექსეი პობოისტი გახდა, დაოჯახდა და 1716 წლიდან დოკუმენტებში აღარ ჩანს. შესაძლებელია მან გვარი დაიტოვა, მაგრამ ფრანგულ ყაიდაზე გადაიკეთა.

შემდეგ ტელეტოვას მოაქვს ძუნწი ცნობები მისთვის ცნობილი ანიბალების შესახებ, რომელთა შორისაც დროის სიახლოვის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ი. ს. ანიბალი. კვლავ მომაქვს ციტატი დასახელებული წერილიდან: **„1849 წლის კავალერთა სიაში ირიცხება ვინმე ივან სტეპანის ძე ანიბალი – ვლადიმირის IV ხარისხის ორდენის კავალერი, რომელიც მან მიიღო 1844 წლის 3 დეკემბერს. ჩემი აზრით, ნატალია ანიბალი ივან ანიბალის ან ცოლი უნდა იყოს, ან და“.**

ამ ვარაუდს იზიარებს დიდი თანამედროვე პუშკინისმცოდნე ს. ა. ფომიჩევი. ყოველივე ის, რაზეც ზემოთ იყო საუბარი, შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს. მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება. გვარი ანიბალი უიშვიათესია რუსეთში და მხოლოდ ერთი ძირი აქვს, რომლითაც განუყოფელად არის დაკავშირებული პუშკინთან. რაც შეეხება საქართველოს, ეს გვარი აქ უნიკალურია და მხოლოდ ერთხელ გვხვდება. როგორ მოხვდა ნატალია ანიბალი საქართველოში? რატომ ცხოვრობდა იგი დუშეთში? ეს ჯერ კიდევ გასარკვევია. მაგრამ 1829 წელს პუშკინის ეს შორეული ნათესავი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ცნობილია, რა მოწიწებით ეპყრობოდა პოეტი პუშკინების საგვარეულო მტოს და განსაკუთრებით ჰანიბალებს. იქნებ მან იცოდა კიდეც, რომ მისი შორეული ნათესავი, სწორედ დუშეთში ცხოვრობდა? ამიტომაც ხომ არ მიიჩქაროდა იქითკენ? დარწმუნებული ვარ, დრო გაარკვევს ყოველივე ამას.

რაც შეეხება „მოგზაურობას არზრუმში“, აქ პუშკინი გასაგები მოსაზრებების გამო (ის წერდა არა „ინტიმურ“ დღიურს, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ნაწარმოებს) არ ახსენებს თავის ნათესავებს (ჩვენ ალბათ უკვე მრავლობით რიცხვშიც შეგვიძლია საუბარი, რადგან, დადიანთან ნათესაობა დადასტურდა) და არც თავის უახლოეს მეგობრებს დეკაბრისტების წრიდან, არ ახსენებს არც იმ ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც 1832 წლის ანტიიმპერიული შეთქმულების შემდეგ იყვნენ რეპრესირებულნი.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დუშეთის მკვიდრნი საუკუნენახევარზე მეტხანს ინახავდნენ საფლავის ქვას. იქნებ იცოდნენ კიდეც გარდაცვლილის ვინაობა?

პუშკინმა დუშეთში ნახევარი დღე გაატარა (უკან დაბრუნებისას ის კვლავ გაჩერდა იქ). ჩვენ არ ვიცით, ინახულა თუ არა მან ნატალია ანიბალი (შესაძლოა, ინახულა კიდეც), მაგრამ გარკვეულმა გარემოებამ აიძულა პოეტი, დაეტოვებინა დუშეთი, რომელსაც ის ასე შეეთვისა. პუშკინი აღნიშნავს კიდეც, იძულებული ვარ ვიჩქარო.

ზემოთ რაც ითქვა, ყოველივე ეს მხოლოდ საკითხის დასმაა, რომელშიც არ არის ნაგულისხმევი ამ საკითხისვე გადაჭრის პრეტენზია. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მკვლევარები, ასევე მხარეთმცოდნეები ზუგდიდიდან და დუშეთიდან დაინტერესდებიან ჩემს მიერ დასმული კითხვებით და თავიანთ წვლილს შეიტანენ იმ გაუგებრობების აღმოსაფხვრელად, რომლებიც მრავლადაა იმხანად საქართველოში მცხოვრები პუშკინის ნათესავების ალექსანდრე ლევანის ძე დადიანის და ნატალია ჰანიბალის ბიოგრაფიაში.

იგორ ბოგომოლოვი,
პროფესორი.

საქართველოს რესპუბლიკა
№145. ხუთშაბათი, 3 ივნისი, 1999 წელი.

მომავალი

„ყველა მათგანში სძინავს მოცარტს“...

დღესასწაული, რომელიც საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ გაუმართა ბავშვთა დაცვის დღეს ჩვენს პატარებს, სიხარულით, ხალისითა და მადლიერებით აავსო მათი გულები. დიდხანს ემახსოვრებათ ეს დღე თბილისის, კოჯრის, წყნეთის, რუსთავის, ახალგორის, სურამის, საგურამოს ბავშვთა სახლებისა და სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელებს — 100-მდე მოზარდს. ისინი ესტუმრნენ ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეას, დაესწრნენ ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ კონცერტს, რომელიც ღია ცის ქვეშ, გალერეის გვერდით გაიმართა. მანამდე კი მათ ანჩისხატის გვერდით რომ „ლაღიძის წყლებია“, იქ უმასპინძლეს.

მოწვეული ბავშვებისა და ყველა პატარა თუ უფროსი სტუმრის დიდი მოწონება დაიმსახურა ბავშვთა სურათების გალერეაში მოწყობილმა „გამოფენა-ზეიმმა“, რომელშიც ორმოცდაათამდე ნორჩი ავტორის ასზე მეტი ნახატი იყო წარმოდგენილი. ამ გალერეას მდიდარი ტრადიციები აქვს, ბევრი დიდებული გამოფენა გვახსოვს მის ჭერქვეშ, მათი მუდმივი ექსპოზიცია კი ნამდვილი ეროვნული საგანძურია, რომელიც დღეს უკვე აღიარებული მხატვრების ბავშვობისდროინდელ ნახატებს ინახავს.

„გამოფენა-ზეიმი“ გალერეის პირველ სართულზე გაიხსნა, სადაც აქამდე თოჯინების მუზეუმი იყო შეხიზნული. ახლა მათ მუდმივი შენობა გადასცეს და გალერეას შესანიშნავი დარბაზი შეემატა. პირველმა გამოფენამ, რომელიც საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ პრეზიდენტის ნანული შევარდნაძის პატრონაჟით გაიმართა, ნიჭიერების ზეიმს გვაზიარა. შესანიშნავი ავტორები გავიცანით, მათგან ყველაზე უმცროსი — სამი წლის ლევან ბახტაძეა, უფროსი კი — 14 წლის ანა კვარაცხელია. შეუძლებელია დუმილით აუარო გვერდი ჩვენი საოცარი ბავშვების ხელიდან და გულიდან გამოსულ სილამაზეს. ეს უშუალო, გულწრფელი, ზღვარდაუდებელი წარმოსახვისა და ფანტაზიის სურათები გარწმუნებს, რომ „მხატვრობა მარტო ხილვა არ არის, მხატვრობა უფრო შეგრძნებაა, რაღაც დიდი ფიზიკური შეგრძნება“ (ნოდარ დუმბაძე), რომლის სიტყვით გადმოცემა, მართლაც ძალიან ძნელია.

ეგზიუპერი ბავშვებზე ამბობდა: „ყველა მათგანში სძინავს მოცარტს“. მე არ ვიცი, როგორ განვითარდება ამ ბავშვების მომავალი, მაგრამ ის, რაც ამჯერად ჩვენს წინაშე წარმოადგინეს, სიხარულის განცდასთან ერთად სიამაყესაც აღძრავს. რამდენიმე მათგანი ნამდვილი აღმოჩენაა. მნიშვნელობა არა აქვს, გახდებიან ისინი მომავალში მხატვრები თუ არა, ის, რაც მათ უკვე შექმნეს თავიანთ ასაკში, მუდამ გამოიწვევს აღტაცებას. ჩემი აზრით, ასეთთა რიგს მიეკუთვნებიან ანა გუგუნაშვილი, მარიამ და ანა დავითინიძეები, თამარ და გიორგი უბირიები, ირაკლი კახაძე, ნინო ბარნაბიშვილი, თეონა გვაძაბია, რუსუდან აბზიანიძე, იულიანა ოქროპირიძე, ნიკა ხაინდრავა, ნინო გაბიძაშვილი, კესანე ვეკტაძე, ანა ითონიშვილი.

ვერნისაჟს უამრავი ხალხი დაესწრო, მათ შორის, უპირველესად, ბატონ ზელა ჩარქვიანს მივმართე, მითუმეტეს, რომ ერთი ავტორთაგანი — ანა ითონიშვილი, მისი შვილიშვილია: — **ფრიად მეამაყება ანას გამოფენა ამ პრესტიჟულ გალერეაში; მართალია, როგორც ყველა ბავშვი, ბავშვობაში მეც ეხატავდი, მაგრამ, ჩემი აზრით, ანაში ამ სწრაფვას გენეტიკურობა უფრო განაპირობებს, იგი ხომ მოსე თოიძის შთამომავალია.**

მხატვარი თემო ჯაფარიძე: — **ეს ბავშვები ბევრად ნიჭიერები არიან, ვიდრე ჩემს დროს იყვნენ. მაშინ ძირითადად ლიტერატურულ მითებსა და სიუჟეტებს მივმართავდით ნახატებში, ახლა კი საგრძნობლად გაფართოვდა ინფორმაციის ნაკადი და ჩვენი ბავშვები ახერხებენ სამყარო მთელი თავისი მრავალფეროვნებით და მშვენიერებით შეიგრძნონ.**

ღია ცის ქვეშ გამართული კონცერტის არენად მარიონეტების თეატრის წინა მოედანი იქცა, სადაც ბავშვებთან ერთად უამრავმა გამვლელ-გამომვლელმა მოიყარა თავი და ქუჩის ზეიმის უნებლიე მოწმე აღმოჩნდა. თავი გამოიჩინეს თეატრალური სკოლა-სტუდიის „ბერიკებისა“ და მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის აღსაზრდელებმა. მათმა ცეკვასიმღერამ, თეატრალურმა იმპროვიზაციებმა ხალისი გადასდო შეკრებილ აუდიტორიას (რეჟისორი გიორგი თოდაძე).

ბავშვთა დაცვის დღე, რომელიც წლეულს პირველად აღინიშნა ოფიციალურად, ყმაწვილებს მიულოცეს საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ პრეზიდენტმა ნანული შევარდნაძემ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას მეუღლემ ნინო ქადაგიძემ, საქართველოს განათლების მინისტრმა ალექსანდრე კარტოზიამ.

ქალბატონმა ნანული შევარდნაძემ, ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი გამოსვლა: **„მინდა კარგი ბავშვობა გქონდეთ. ძალიან დიდი იმედი მაქვს, მოკლე ხანში ჩვენში საგრძნობლად გამოსწორდება საერთო მდგომარეობა და თქვენ მომავალი საუკუნის მოქალაქეებს, მშვენიერ, დიდებულ საქართველოში მოგიწევთ ცხოვრება“.** საზეიმო ცერემონიალის შემდეგ შევეცადე გავსაუბრებოდი ქალბატონ ნანული შევარდნაძეს. რასაკვირველია, ჩვენი საუბრის თემა ძირითადად ბავშვებს, მათ ახლანდელ ყოფასა და პერსპექტივებს ეხება.

— როგორ გაიხსენებთ თქვენს ბავშვობას?

— სულ ვფიქრობ ამის თაობაზე დავწერო რამე, დიდი მწერლის თქმისა არ იყოს: ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ. განგება ყველას თავისებურ ბავშვობას არგუნებს ხოლმე. მეც ჩემებური ბავშვობა მქონდა — რვა წლამდე მართლაც ბედნიერი ვიყავი, სანამ დედ-მამა ერთად მზრდიდნენ, მერე მოგვხსნებათ, 37 წლის რეპრესიებმა რა ტრაგედიაც დაატრიალა, რომლის მსხვერპლიც ჩვენი ოჯახიც შეიქმნა, ხალხის მტრის შვილის იარლიყი მძიმე ტვირთი იყო ჩემთვის და ჩემი თაობის სხვა ბავშვებისათვის. ყველაფრის მიუხედავად, ბავშვობა მაინც არის ის ბედნიერი ხანა, სადაც მოიძებნება ნათელი პერიოდები, მუდამ თან რომ გახლავს და გეძვირფასება. მე დღემდე არ გამიწყვეტია კონტაქტი ჩემი პირველი კლასის მეგობრებთან. ვცდილობ, რითაც შემიძლია დავეხმარო, გავამხნევო. მართალია, ჩვენი ბედი სხვადასხვაგვარად წარიმართა, მაგრამ დაგვრჩა ერთი მთავარი — მეგობრობა და სიყვარული, რომელსაც ნამდვილად არ ელალატების.

— რა ადგილი უკავია ბავშვებს თქვენს ცხოვრებაში?

— მყავს ხუთი შვილიშვილი, რომლებიც გამუდმებით მენატრებიან, რადგან აქ არ ცხოვრობენ. რაც შეეხება ჩემს შვილებს, მათ კარგი ბავშვობა ჰქონდათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ჩვენს ოჯახში ჩამოყალიბებამ გარკვეული ანაბეჭდები დატოვა მათ სულზე, რაღაცნაირად დაკომპლექსებულები არიან. მათ საიმისო პოტენციალი აქვთ, რომ გაცილებით მეტი გააკეთონ, მაგრამ შევარდნაძის შვილობა მათთვის ერთგვარ ტვირთად იქცა, შეგნებულად აირჩიეს ჩრდილში დგომა. ეს კი არა, ჩემი უფროსი შვილიშვილი მეკითხებოდა: — ბაბუ კიდევ რამდენ წელიწადს იქნება პრეზიდენტი? როცა ვუპასუხე — კიდევ ხუთი წელიწადი-მეთქი, შეიცხადა — ვაიმე, რა მეშველებაო. მე მინდა, როგორც პრეზიდენტის შვილიშვილი კი არ მითხოვოს ვინმემ, არამედ ჩემი პირადი ღირსებების გამოო.

ხშირად ვამბობ ხოლმე — მე გავზარდე ბავშვები, მაგრამ ედუარდ შევარდნაძის მაგალითმა, პატიოსანი, უკომპრომისო ცხოვრების წესმა, რასაც ისინი ხედავდნენ და რისი მოწმენიც იყვნენ, ძალაუნებურად იმოქმედა მათ პიროვნულ თავისებურებაზე და უკიდურესად მომთხოვნი გახადა საკუთარი თავის მიმართ. ვინც ჩემს შვილებს იცნობს, თავიანთი მონაცემების წყალობით ცოტა შორს წავიდოდნენ, მაგრამ შევარდნაძის ავტორიტეტმა შებოჭა ისინი.

— თქვენს მოღვაწეობაში, სხვა მტკივნეულ პრობლემებთან ერთად, რომლებიც ბოლო წლების კატაკლიზმებმა წარმოშვეს ჩვენში, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალურად დაუცველ და მიუსაფარ ბავშვებზე ზრუნვას. ქველმოქმედები ბევრ სასარგებლოს აკეთებენ ამ მხრივ, მაგრამ საინტერესოა, სახელმწიფო დონეზე რა კეთდება ამ მიმართებით?

— პროგრამით „საქართველოს მომავალი“, ასევე სხვა პროგრამებით, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ურეკში, ბორჯომსა და ბაკურიანში უსასყიდლოდ დაისვენა ოცი ათასზე მეტმა ბავშვმა. წლეულსაც გაგრძელდება ეს პროგრამა და სამი ათასზე მეტ მოზარდს შეეხება.

ძალზე სამწუხაროა, რომ ყველა ბავშვს არა აქვს არსებობისა და პიროვნული განვითარების თანაბარი პირობები. ჩემი აზრით, არსებული ვითარების გამოსწორება შესაძლებელია საქართველოში. ჩვენში ხომ ამის დიდი ტრადიციები გვაქვს, სანათესაო ყოველთვის ზრუნავდა გაჭირვებულთა ოჯახებზე. ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია შვილობილად აყვანის საკითხი, რომელსაც მალე კანონიერად განამტკიცებს ჩვენი პარლამენტი. მისი ძალით ყველა ოჯახს შეუძლია გასაზრდელად აიყვანოს ბავშვი და 17-18 წლამდე უზრუნველყოს. მთავრობა მათ გარკვეულწილად დაეხმარება. მთავარია, რომ მიუსაფარი ბავშვები მყუდრო, ოჯახურ გარემოში გაიზრდებიან და სრულფასოვან პიროვნებებად ჩამოყალიბდებიან, ოლონდ ასაწონ-დასაწონი და დამაფიქრებელია მათი მომავალი 18 წლის შემდეგ. გადაუდებელი ამოცანაა შეიქმნას რაღაც ინსტიტუტი, რომელიც ამ ყმაწვილების შემდგომ ბედზეც იზრუნებს.

შეძლებულ ოჯახებს კი მოვუწოდებ თავის შვილებთან ერთად გაზარდონ ობოლი და ნაკლებადუზრუნველყოფილი ბავშვები, რომელთა ნიჭი და შესაძლებლობები გაცილებით უკეთ გამომჟღავნდება — ეს იქნება პატრიოტიზმის უმაღლესი გამოვლინება. ღონიერ ოჯახში აღზრდილი და განათლებული ახალგაზრდობა დიდი სიკეთეა ქვეყნისათვის და საქართველოს მომავალს წაადგება.

ისე რომ, ედუარდ შევარდნაძის ფრაზა — „საქართველო ბავშვთა სახლების გარეშე“, სულაც არ გახლავთ ოდენ ფრთიანი გამოთქმა. მჯერა, ჩვენი საზოგადოება გულისხმიერებას გამოიჩენს და საქართველოში მიუსაფარ ბავშვთა კატეგორია წარსულს ჩაბარდება.

— როგორ მიმართავდით ჩვენს ბავშვებს?

— ჩემო პატარა მეგობრებო, ჭაბუკებო და ყმაწვილქალებო, მე თქვენ ბებიად შეგეფერებით და ალალი გულით გლოცავთ 21-ე საუკუნის მოქალაქეებს, არავითარი დაბრკოლება არ გქონდეთ, სრულად გამოავლინოთ თქვენი ნიჭი და შესაძლებლობები, იცხოვროთ მშვიდობიან, უსაფრთხო საქართველოში. საზოგადოება არ დაუშვებს, რომ ცხოვრება თქვენთვის უმწეობის, მიუსაფარობის, უსასრულო ტრავმების საუფლოდ იქცეს! იმედით მეხედეთ მომავალს!

... მაგონდება ერთი სენტენცია: „ყველა კედელი კარსაც გულისხმობს... მოდით, ეს კარი გავუღოთ ბავშვებს... შემოვუშვათ. ხვალ ისინი წაგვიძღვებიან“...

მართლაცდა, რა კარგი იქნება, ყოველმა ჩვენგანმა ვიცხოვროთ ამ რწმენით!

გიორგი ლალიაშვილი.

სურათზე: ნანული შევარდნაძე ბავშვთა სურათების გალერეაში; საბავშვო ზეიმის მონაწილენი „კონკასთან“; მარიონეტების თეატრის წინ.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

დოკუმენტი

საქართველოს კანონი

„საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2(9), 1999 წელი) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და კონტინენტური შელფის სამართლებრივი სტატუსი

ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და შენარჩუნების, ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების დაცვის მიზნით საქართველო თავის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და კონტინენტურ შელფზე ახორციელებს სუვერენულ უფლებებსა და იურისდიქციას საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების, საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად“.

2. მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. უცხო ქვეყნის გემებისა და სამხედრო ხომალდებისათვის დახურული ნავსადგურები და რეიდები

უცხო ქვეყნის გემებისა და სამხედრო ხომალდებისათვის დახურული ნავსადგურებისა და რეიდების ჩამონათვალს ადგენენ საქართველოს შესაბამისი ორგანოები და აქვეყნებენ „ზღვაოსანთა უწყებებში“.

3. 25-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 25. უცხო ქვეყნის ატომურძრავიანი გემები და გემები, რომელთაც გადააქვთ ატომური, ტოქსიკური ან სხვა საშიში ნივთიერებები და მასალები

უცხო ქვეყნის ატომურძრავიანი გემები და გემები, რომელთაც გადააქვთ ატომური, ტოქსიკური ან სხვა საშიში ნივთიერებები და მასალები, საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში მშვიდობიანი გავლისას ვალდებულნი არიან თან იქონიონ შესაბამისი დოკუმენტები და დაიცვან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილი უსაფრთხოების განსაკუთრებული წესები“.

4. 27-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქცია გამოიყენება დანაშაულზე, რომელიც ჩადენილია უცხო ქვეყნის გემზე მისი საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში გავლისას, თუ:

5. 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს შესაბამისი ორგანოები საქართველოს მიმდებარე ზონაში ახორციელებენ კონტროლს საქართველოს საბაჟო, საემიგრაციო, ფისკალური და სანიტარიული კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისა და ამ კანონმდებლობის დამრღვევთა დასჯის მიზნით.“

6. 29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 29. საქართველოს მიმდებარე ზონაში საქართველოს საბაჟო, საემიგრაციო, ფისკალური და სანიტარიული კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთის ღონისძიებები

თუ საქართველოს მიმდებარე ზონაში მყოფმა უცხო ქვეყნის გემმა დაარღვია ან აპირებს დაარღვიოს საქართველოს საბაჟო, საემიგრაციო, ფისკალური ან სანიტარიული კანონმდებლობა, საქართველოს შესაბამის ორგანოებს უფლება აქვთ გააჩერონ გემი და ჩაუტარონ ინსპექტირება, მიიღონ საჭირო ზომები დარღვევების თავიდან ასაცილებლად და დააკავონ გემი დამნაშავე პირის პასუხისგებაში მისაცემად“.

7. 30-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა არის ზღვის რაიონი, ზღვის ფსკერისა და წიაღისეულის ჩათვლით, რომელიც განლაგებულია საქართველოს ტერიტორიული ზღვის ფარგლებს გარეთ და ეკვრის მას“.

8. 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ა) სუვერენულ უფლებებს, როგორც ცოცხალი, ისე არაცოცხალი ბუნებრივი რესურსების დაზვერვის, მოპოვებისა და დაცვის მიზნით, აგრეთვე, წყლის, დინებისა და ქარის გამოყენებით ენერგიის მისაღებად“.

9. 33-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ყველა ქვეყანა (როგორც ზღვისპირა, ისე ზღვაზე გასასვლელის არმქონე ქვეყნები) საერთაშორისო სამართლისა და ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად სარგებლობს ნაოსნობისა და ფრენის თავისუფლებით, კაბელებისა და მილსადენების გაყვანის უფლებით და ზღვით სარგებლობის სხვა მართლზომიერი შესაძლებლობებით, რომლებიც ამ თავისუფლებებს განეკუთვნება“.

10. 34-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს ასეთი ხელოვნური კუნძულების მიმართ აქვს განსაკუთრებული იურისდიქცია, მათ შორის, იურისდიქცია საბაჟო, საემიგრაციო ფისკალური და სანიტარიული კანონებისა და წესების მიმართ, აგრეთვე, უსაფრთხოების მიმართ“.

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საქართველოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებული ხელოვნური კუნძულების, ნაგებობებისა და მოწყობილობების გამოყენებასა და ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი საქართველოს და უცხო ქვეყნის იურიდიული პირები და საერთაშორისო ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ხელოვნურ კუნძულებზე, ნაგებობებზე და მოწყობილობებზე წესრიგში იქონიონ მათი არსებობის შესახებ გამაფრთხილებელი საშუალებები. ამ პირებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა მიტოვებული ან გამოუყენებელი ხელოვნური კუნძულების, ნაგებობებისა და მოწყობილობების ლიკვიდაცია უნდა მოახდინონ მათი აშენების ნებართვაში განსაზღვრულ ვადებში ისე, რომ ხელი არ შეუშალონ ნაოსნობასა და თევზჭერას და არ შექმნან ზღვის გარემოს დაბინძურების საფრთხე“.

11. 38-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 38. საქართველოს კონტინენტური შელფი

საქართველოს კონტინენტური შელფი არის ზღვის ფსკერი და მისი წიაღისეული, კონტინენტის კიდის სახმელეთო ტერიტორიის ბუნებრივი გაგრძელების ჩათვლით, რომელიც ვრცელდება საქართველოს ტერიტორიული ზღვის გარე საზღვრებიდან სხვა მავიზღვისპირა ქვეყნების კონტინენტური შელფის საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილ საზღვრებამდე“.

12. მე-40 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველო თავის კონტინენტურ შელფზე ახორციელებს სუვერენულ უფლებებს მისი დაზვერვისა და ისეთი ბუნებრივი რესურსების მოპოვების მიზნით, როგორიცაა ენერგეტიკული, მინერალური და სხვა არაცოცხალი, აგრეთვე მჯდომარე სახეობებს მიკუთვნებული ცოცხალი ორგანიზმები, (კიბორჩხალები, კიბოსნაირები, ზღვის ღრუბლები და სხვა), რომლებიც მათი რეწვის პერიოდში უძრავად იმყოფებიან ზღვის ფსკერზე ან მის ქვეშ, ან ზღვის ფსკერთან ან მის წიაღთან მჭიდრო ფიზიკური კავშირის გარეშე გადაადგილება არ შეუძლიათ“.

ბ) მე-2 პუნქტის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი უფლებები საქართველოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება, რომელიც წესრიგდება ამ კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად“.

გ) მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) იმ კაბელებისა და მილსადენების მიმართ, რომლებიც გაყვანილია ან ექსპლუატირებულია მისი რესურსების დაზვერვის ან საქართველოს იურისდიქციის ქვეშ ხელოვნური კუნძულების, დანადგარებისა და მოწყობილობების ექსპლუატაციის მიზნით“.

13. 53-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს უფლება აქვს მოითხოვოს თავის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და კონტინენტურ შელფზე სამეცნიერო კვლევის შეწყვეტა ამ კანონის 50-ე მუხლის დებულებების ნებისმიერი შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ ეს კვლევითი პროექტის ან სამეცნიერო საქმიანობის სერიოზული ცვლილებების ტოლფასია“.

14. 59-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 59. ზღვაში გასვლის აკრძალვა იმ გემისათვის, რომელიც ქმნის ზღვის გარემოს დაბინძურების საფრთხეს

საქართველოს ნავსადგურის კაპიტანს უფლება აქვს აკრძალოს შიდა საზღვაო წყლებში, ნავსადგურებში ან რეიდზე მყოფი გემის ზღვაში გასვლა, თუ მისი ტექნიკური მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს ზღვის გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებისა და შემცირების შესახებ საქართველოს მიერ მიღებული ნორმებისა და სტანდარტების დაცვას“.

15. 65-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 65. უცხო ქვეყნის გემის ცხელ კვალზე დევნა და დაკავება

უცხო ქვეყნის გემის ცხელ კვალზე დევნა და დაკავება ხორციელდება, თუ გემმა დაარღვია:

ა) საქართველოს კანონმდებლობა მის შიდა საზღვაო წყლებში ან ტერიტორიულ ზღვაში ყოფნისას;

ბ) ან აპირებს დაარღვიოს საქართველოს საბაჟო, საემიგრაციო, ფისკალური ან სანიტარიული კანონმდებლობა საქართველოს მიმდებარე ზონაში;

გ) საქართველოს სუვერენული უფლებები და იურისდიქცია მისი განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და კონტინენტური შელფის მიმართ“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1999 წლის 14 მაისი.

ჯანდაცვა

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

ერთად ვიზრუნოთ უკეთესი ჯანმრთელობისათვის

1999 წლის 1 ივნისიდან საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო მოსახლეობას უზრუნველყოფს ახალი სამედიცინო ინფორმაციული სამსახურით „ცხელი ხაზი“.

„ცხელ ხაზში“ იგულისხმება სადღეღამისო მომსახურეობა, რომელიც მოსახლეობას უფასოდ და ოპერატიულად მიაწოდებს შემდეგი სახის ინფორმაციებს:

პირველი ბლოკი:
ცნობარი — (ჯანდაცვის სამინისტროს უწყებების და სამედიცინო დაწესებულებების მისამართები, ტელეფონები);

მეორე ბლოკი:
ინფორმაცია სასწრაფო დახმარების სამსახურების შესახებ;

მესამე ბლოკი:
ინფორმაცია სამედიცინო სადაზღვევო პროგრამების შესახებ;

მეოთხე ბლოკი:
ინფორმაცია სამედიცინო პროფილაქტიკური პროგრამების შესახებ;

მეხუთე ბლოკი:
ინფორმაცია სხვა ჯანდაცვითი პროგრამების შესახებ;

მეექვსე ბლოკი:
ინფორმაცია სახელმწიფო სტანდარტების შესახებ;

მეშვიდე ბლოკი:
ფარმაცევტული ინფორმაცია — (მედიკამენტები, ფარმ. ბაზები);

მერვე ბლოკი:
იურიდიული ინფორმაცია — (სამედიცინო პერსონალისა და პაციენტების უფლება-მოვალეობები);

ინფორმაციულ სამსახურთან საკონტაქტო ტელეფონის ნომრებია:

37-73-00; 38-71-05;

„ცხელი ხაზის“ საინფორმაციო სისტემა კომპიუტერიზირებულია, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს მინიმალურ დროში მიიღოს საჭირო ინფორმაცია.

მომსახურეობა: 24 საათი; სამუშაო არეალი მთელი საქართველო;

მასალა მომზადებულია მსოფლიო ბანკის დაფინანსებით.

განცხადება

უფრო ეფექტიანად რომ გამოვიყენოთ სახელმწიფო ქონება

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ რამდენჯერმე გამოხატა თავისი პოზიცია ე. წ. „მოიჯარე ჰესებთან“ დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ჟინვალჰესთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება, რომლის შესრულების მიზნითაც მიმდინარეობს საკონცესიო (საიჯარო) ხელშეკრულების მომზადება უცხოელ ინვესტორებთან — „ჟინვალის განვითარების ჯგუფთან“ (საერთაშორისო კონსორციუმი) ერთად. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობას იღებს კერძო ფირმა შპს „ჟინვალიც“, რომელთანაც „საქენერგოგენერაციას“ გაფორმებული ჰქონდა საიჯარო ხელშეკრულება. აქ ხაზი უნდა გაესვას წყალგამყვანი გვირაბის კატასტროფულ მდგომარეობას, და რომ არსებულმა საიჯარო ურთიერთობებმა ვერ უზრუნველყო ჟინვალჰესის ნორმალური ფუნქციონირება.

„ორთაჭალჰესთან“ დაკავშირებით, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს პოზიციაა, რომ საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებულია იმ დროს არსებული იჯარის შესახებ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების დარღვევით. აღნიშნული კანონის შესაბამისად, იჯარით გაცემა ხდება მესაკუთრის ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ, ხოლო ორთაჭალჰესის იჯარით გაცემა განხორციელდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს თანხმობის გარეშე.

რაც შეეხება „ზაჰესს“, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ, ჯერ კიდევ 1997 წლის მაისში, ხოლო შემდგომ 1998 წლის იანვარში 2 წერილით საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, სახელმწიფო კომპანია „საქენერგოგენერაციის“, შპს „ზაჰესის“, საქართველოს პარლამენტისა და კანცელარიის წინაშე დასვა საკითხი „საქენერგოგენერაციასა“ და შსპ „ზაჰესს“ შორის გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებებში დაშვებული შეცდომებისა და ამ ხელშეკრულებების გაუქმების თაობაზე.

ბატონი თ. ჩხეიძე აცხადებდა, რომ „ზაჰესს სარეაბილიტაციო არაფერი სჭირს“. სინამდვილეში კი მას სჭირდება რამდენიმე მილიონიანი ინვესტიცია 3-კილომეტრიანი სადერივაციო არხის შესაკეთებლად.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1993 წლიდან, მით უმეტეს 1998 წლისათვის, მოქმედი კანონმდებლობით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო ქონების იჯარით გადაცემასთან დაკავშირებით. სამინისტროს პოზიციაა, რომ სახელმწიფო ქონების იჯარით (მართვის უფლებით) გადაცემა ან პრივატიზება მოხდეს მხოლოდ საკონკურსო საწყისებზე, საჯაროობის პირობებში, რათა გამოვლინდეს საუკეთესო ბიზნეს-პარტნიორი.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ზაჰესში“ კერძო ფირმის მიერ ინვესტორის შემოყვანამ, იმ პირობებში, როცა მოუწესრიგებელია სამართლებრივი გარემო, შეიძლება საფრთხე შეუქმნას მის ინვესტიციებს და გამოიწვიოს მასთან ერთიერთობის გართულება. ფაქტობრივად, ასეთი სიტუაცია უკვე შეიქმნა და „IDM“-ის საქართველოს წარმომადგენლობის წერილის მიხედვით, მათ მთელი რიგი პრობლემები აქვთ ზაჰესის მოიჯარე კერძო ფირმა — შპს „ზაჰესთან“.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჰიდროელექტროსადგურების ბაზაზე დაფუძნებული სააქციო საზოგადოებებისა და „ზაჰესის“ (დაფუძნების პროცესშია) აქციათა 75 პროცენტის განსახელმწიფოებრიობა განხორციელდება მხოლოდ 25 წლის ვადით მართვის უფლებით და არა გაყიდვით.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიაჩნია, რომ სახელმწიფო ენერგოკომპანია „საქენერგოგენერაციის“ ხელმძღვანელობამ დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს ღონისძიებები „საქართველოს ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიებისა და გენერაციის ობიექტების რეაბილიტაცია-განვითარების სამოქმედო პროგრამის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესასრულებლად, რომელშიც აღნიშნულია, რომ ჰიდროელექტროსადგურ „ზაჰესის“ ბაზაზე დაფუძნდეს სააქციო საზოგადოება, რათა შესაძლებელი გახდეს მისი აქციათა პაკეტის (ქონების) შეთავაზება პოტენციური ინვესტორისთვის საკონკურსო საწყისებზე გრძელვადიანი მართვის უფლებით, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, უფრო ეფექტიანად იქნას გამოყენებული სახელმწიფო ქონება და რამდენჯერმე გაიზარდოს საბიუჯეტო შემოსავალი.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო.